

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ლელა წიტიანი

**სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საქართველოს
ზრდასრულ მოსახლეობაში და პრევენციის თანამედროვე
მიდგომები**

დისერტაცია

წარმოდგენილი მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ვლადიმერ მარგველაშვილი

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მანანა კალანდაძე



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

თბილისი, 2015

შინაარსი

შესავალი-----	4
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1 სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელება და რისკ- ფაქტორები-----	13
1.2 სტომატოლოგიური და სომატური დაავადებები-----	22
1.3 სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპები-----	30
თავი 2. გამოკვლევის მასალა და მეთოდები	
2.1 შესავალი-----	34
2.2 საკვლევი პოპულაციის შერჩევა და კვლევის მეთოდოლოგია-----	38
თავი 3. საკუთარი გამოკვლევის შედეგები	
3.1 გამოკვლეული პოპულაციის ზოგადი დახასიათება-----	43
3.2 ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის დადგენა და სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საკვლევ პოპულაციაში-----	50
3.3 კარიესის და პაროდონტის დაავადებათა სიხშირე და გავრცელება ასაკისა და სქესის მიხედვით საკვლევ პოპულაციაში-----	58
3.4 სტომატოლოგიურ დაავადებათა ტერიტორიული განაწილება(რეგიონების მიხედვით) და თავისებურებები საკვლევ პოპულაციაში-----	66

3.5 კარიესის და პაროდონტის დაავადებათა კავშირი რისკ-ფაქტორებთან საკვლევ პოპულაციაში-----	74
თავი 4. კვლევის შედეგების განხილვა -----	96
დასკვნა -----	114
პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები-----	116
გამოყენებული ლიტერატურა-----	119

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

პირის ღრუს ჯანმრთელობის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად სტომატოლოგიური დაავადებები კვლავ აქტუალურ და მწვავე პრობლემად რჩება, განსაკუთრებით მსოფლიო პოპულაციის არაპრივილეგირებულ ჯგუფებში, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში.

სტომატოლოგიური დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია კბილის კარიესი და პაროდონტის ანთებადი დაავადებები, რომელთა განვითარებაში მთავარი ეტიოლოგიური როლი მიკრობს ენიჭება, თუმცა ეს დაავადებები მულტიფაქტორული ხასიათისაა და მათ წარმოქმნასა და განვითარებაზე მრავალი ადგილობრივი და ზოგადი ფაქტორი მოქმედებს.

კბილის კარიესი არის ქრონიკული პათოლოგიური პროცესი, რომელიც ვლინდება კბილების ამოჭრის შემდეგ, მიმდინარეობს კბილის მაგარი ქსოვილების (მინანქარი, დენტინი, ცემენტი) დემინერალიზაციით და შემდგომი დეფექტის წარმოქმნით. კარიესული პროცესის წარმოქმნის მიზეზია კბილის ნადების სპეციფიკური მიკრობები: *Streptococcus Mutans* და *Lactobacillus* რომლებიც ნახშირწყლების (საქაროზა, ფრუქტოზა, გლუკოზა) ფერმენტაციის შედეგად კბილის ზედაპირზე არსებულ ნადებში წარმოქმნიან რძემჟავას, ხდება მინანქრის ზედაპირზე pH-ის ლოკალური ცვლილებები, ირღვევა მინანქრის ორგანული მატრიქსი, რასაც მივყავართ დემინერალიზაციის კერის წარმოქმნასთან.

კარიესის განვითარებაზე გავლენას ახდენს კვების ხასიათი (ნახშირწყლების სიჭარბე) და რეჟიმი, ნერწყვდენის რაოდენობა და ხარისხი (ჰიპოსალივაცია ან ქსეროსტომია), ორგანიზმის ზოგადი დაავადებები და მდგომარეობები, რადგან ისინი აქვეითებენ კარიესისადმი კბილის ქსოვილების სტრუქტურულ რეზისტენტობას, გენეტიკური წინასწარგანწყობა, სასმელ წყალში ფტორის შემცველობა, ორგანიზმზე მოქმედი გარე ფაქტორები(რადიაცია), თამბაქოს

მოხმარება, პირის ღრუს ცუდი ჰიგიენა (ქვებისა და ნადებების, უხარისხო ორთოდონტიული და ორთოპედიული კონსტრუქციების არსებობა), თუმცა პირის ღრუს არასრულფასოვანი ჰიგიენა რისკ-ფაქტორია არამარტო კარიესის, არამედ პაროდონტის დაავადებათა განვითარებაშიც. აქაც წამყვანია კბილის ნადების მიკრობების როლი. მიკროორგანიზმების ცხოველყოფილობის პროდუქტები ტოქსიურ და ადგილობრივ გამაღიზიანებელ ზემოქმედებას ახდენენ ღრძილის ქსოვილზე, რის შედეგადაც ვითარდება ღრძილოვანი სითხის რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები, ირღვევა კბილ-ღრძილოვანი შეერთება და ღრძილის მიკროცირკულაცია, რასაც პაროდონტული ჯიბის ჩამოყალიბებამდე და ძვლოვან ქსოვილში ანთების გავრცელებამდე მივყავართ. ხდება კბილბუდის ძვლოვანი ქსოვილის განლევა, კბილები ნაკლებადაა გამაგრებული კბილბუდეში, იწყება მათი მორყევა და გადანაცვლება, საბოლოოდ კი კბილების დაკარგვა. ადგილობრივად დაავადების განვითარებას ხელს უწყობს პირის ღრუს დაბალი კარიბჭე, ენისა და ტუჩის მოკლე ლაგამი, ლორწოვანის მოკლე ჭიმები, კბილთა დგომისა და თანკბილვის ანომალიები, არასრულფასოვნად და არასწორად გაკეთებული ბჟენები, ორთოპედიული და ორთოდონტიული კონსტრუქციები და სხვა. პაროდონტის ანთებითი დაავადებების განვითარების ხელშემწყობ ზოგად ფაქტორებს კი მიეკუთვნება საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული, გულ-სისხლძარღვთა, სისხლძარღვი, ნერვული სისტემების დაავადებები, იმუნური სისტემის პათოლოგიები.

კარიესის ან პაროდონტის დაავადების გამო განვითარებული ტკივილი, დისკომფორტი და კბილების დაკარგვა ფუნქციური და ესთეტიური ხასიათის დარღვევებს იწვევს და ხელს უშლის პიროვნების ჯანსაღ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

სტომატოლოგიური დაავადებები სერიოზულ პროფესიულ მიდგომას და მკურნალობას საჭიროებს შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად. სტომატოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად დაბალია ასაკოვან ადამიანებში, ასევე დაბალი განათლებისა და შემოსავლის მქონე პირებში, შესაბამისად პირის ღრუს ჯანმრთელობა

დაქვეითებულია დაბალი სოციალური სტატუსის მოსახლეობაში. ამიტომ ისეთი საზოგადოებრივი პროექტებისა და პროგრამების შექმნა რომელიც ითვალისწინებს დარიბი და დაბალი სოციალური ფენის მაქსიმალურ ჩართულობას პირის ღრუს დაავადებათა მკურნალობასა და პრევენციაში ჯანდაცვის და სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ტრადიციული სამკურნალო სტომატოლოგიური მომსახურება მნიშვნელოვან ეკონომიკური დატვირთვას წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბიუჯეტის 5–10% პირის ღრუს დაავადებათა მკურნალობასა და პროფილაქტიკას ხმარდება[23], დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე განვითარებად ქვეყნებში პირის ღრუს ჯანმრთელობის საზოგადოებრივი პროგრამები იშვიათია. სტომატოლოგიური მომსახურების მაღალი ხარჯები შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ეფექტური პრევენციით, კარგად დაგეგმილი პროფილაქტიკა კი დაავადებათა შემცირების მნიშვნელოვანი საფეხურია.

სტომატოლოგიური დაავადებების შესამცირებელი ღონისძიებები პირველ რიგში რისკ-ფაქტორების მოცილებისაკენ უნდა იყოს მიმართული; ნახშირწყლების ნაკლები მოხმარება, ბალანსირებული კვება, თამბაქოს მოხმარების შემცირება, პირის ღრუს სრულფასოვანი ჰიგიენა ხელს უშლის პაროდონტის დაავადებების და კარიესის განვითარებასა და გავრცელებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ფტორის ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნებას კბილის ზედაპირზე, რასაც უზრუნველყოფს ფტორის შემცველი კბილის პასტების, სავლებების, ფტორირებული სასმელი წყლის, რძის, მარილის მოხმარება. ოპტიმალური რაოდენობით ორგანიზმში ფტორის მიწოდება მნიშვნელოვნად ამცირებს კარიესით ავადობის რისკს.

სტომატოლოგიური ავადობის შესაფასებლად დადგენილია გარკვეული მოთხოვნები. ჯანმოს(ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) რეკომენდაციით 3წლის ასაკში ხდება სარძევე კბილების, 6 წლის ასაკში–მუდმივი პირველი მოლარების, 12 წლის ასაკში–მუდმივი კბილების, ხოლო 15 წლისათვის – პაროდონტის მდგომარეობის, 35–44 და 65–74 წლისათვის კი კბილებისა და პაროდონტის მდგომარეობის შეფასება[27]. თუმცა მნიშვნელოვანია არაკარიესული დაავადებების

გავრცელების შეფასებაც, რამდენადაც ეს დაავადებები ხშირად უგულვებელყოფილი რჩება როგორც პაციენტის, ისე ექიმის მხრიდან და საბოლოოდ სერიოზულ ესთეტიურ, ფუნქციურ და მორფოლოგიურ ცვლილებებამდე მივყავართ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კბილის მაგარი ქსოვილების პათოლოგიური ცვეთა, რომელიც ხასიათდება კბილის მაგარი ქსოვილების (მინანქარი, დენტინი) პროგრესირებადი განლევიტით. ამ პათოლოგიის განვითარების გამომწვევი და ხელშემწყობი ფაქტორებია ბრუქსიზმი (კბილების ძლიერი შეხება და კრაჭუნი საღეჭი მუსკულატურის მომატებული ტონუსის ფონზე), კბილთა მწკრივის დეფექტები და ოკლუზიური ტრამვები, თანკბილვის ანომალიები. ადამიანებს აღენიშნებათ კბილების მომატებული მგრძნობელობა, კბილების ზომებისა და ფორმის ცვლილება, თანკბილვის დადაბლება, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დისფუნქცია და შედეგად ესთეტიური და ფუნქციური ხასიათის ცვლილებები, რაც მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე.

ბოლო წლებში პირის ღრუს დაავადებათა სიხშირესა და სიმწვავესთან დაკავშირებული ოპტიმისტური ტენდენციების მიუხედავად კბილის კარიესი ძალიან გავრცელებული დაავადებაა მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში და მოიცავს ბავშვთა კონტინგენტის 60–90%-ს, ხოლო მოზრდილი პოპულაციის დიდ უმრავლესობას. მსოფლიო მოსახლეობის 30–ს 65–74 წლის ასაკში აღარ აქვთ ბუნებრივი კბილები. [1] ინდუსტრიულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ თამბაქოს წვეა ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს პაროდონტის დაავადებათა განვითარებაში, თუმცა ქრონიკული დაავადებების როლი ასევე მნიშვნელოვანია.

უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში სტომატოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, კბილები ხშირად რჩება უმკურნალელები ან ექვემდებარება ამოღებას, ტკივილის, დისკომფორტის და მატერიალური ხელმოკლეობის გამო. კბილების დაკარგვა და პირის ღრუს გაუარესებული ფუნქციური მდგომარეობა გადაიზრდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაში. თუმცა ბევრ განვითარებად ქვეყანაში კბილების დაკარგვა მოზრდილ პოპულაციაში ასევე პაროდონტის დაავადებებითაც არის განპირობებული. 35–44წწ

ასაკობრივ ჯგუფში სწრაფად პროგრესირებადი მწვავე გენერალიზებული პაროდონტიტი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში 5–15% ფარგლებში მერყეობს, ხოლო ქრონიკული მსუბუქი და საშუალო ფორმების არსებობა მოზრდილი მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში შეინიშნება [64] მაღალი შემოსავლების მქონე ინდუსტრიულ ქვეყნებში პირის ღრუს ჯანმრთელობა მიიღწევა სამკურნალო და პრევენციული ღონისძიებებით და დაფუძნებულია კერძო ან სახელმწიფო სისტემებზე. მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ღარიბი საზოგადოება, გარკვეული ეთნიკური უმცირესობები, უსახლკარო და შეზღუდული უნარის მქონე ადამიანები და ასაკოვნები არ არიან დაკმაყოფილებული სტომატოლოგიური მომსახურებით. ეს ქვეყნები განიცდის პირის ღრუს ჯანმრთელობის მომსახურე პერსონალის დეფიციტს, მომსახურებას უზრუნველყოფს უმთავრესად რეგიონალური ან (და) ურბანული ცენტრები და ნაკლები ყურადღება ექცევა პრევენციასა და რესტავრაციულ მკურნალობას.

ადამიანური განვითარების ინდექსით 0.744 [135] საქართველოს მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,5 მილიონს, რომლის 53% ურბანულ არეებში ცხოვრობს [136].

XX საუკუნის 90–იან წლებში სოციო-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების გამო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ჯანმრთელობის მაჩვენებლები ძლიერ განსხვავდებოდა ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებისგან, აღინიშნებოდა სიგარეტის და ნარკოტიკის გაზრდილი მოხმარება. მოწვევის მაღალი მაჩვენებლები ჯანმრთელობის უმთავრეს პრობლემას ქმნიდა და განსაკუთრებით პრევალირებდა ქალებსა და მოზარდებში, ალკოჰოლოს ჭარბი მოხმარება და ნარკოტიკები მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, საარსებო პირობებით და უმუშევრობით გამოწვეული იმედგაცრუებისა და პესიმიზმის დრამატულ შედეგს წარმოადგენდა.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ საქართველოს მოსახლეობაში ბოლო წლებში შედარებით გაიზარდა სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა, იმატა სამედიცინო განათლების და კულტურის ხარისხმა, შესაბამისად გაიზარდა სტომატოლოგიური

აქტივობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პირის ღრუს დაავადებათა გავრცელების საფრთხე და ტენდენცია, თუმცა მულტიფაქტორული სტომატოლოგიური დაავადებები კვლავ მწვავე და აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოშიც. სავარაუდოდ სწორედ არადამაკმაყოფილებელი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსაზღვრავს საქართველოს მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურების ნაკლებ ხელმისაწვდომობას ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ჯანმრთელობის სერვისი უმთავრესად ფინანსდება კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და თვითონ მოსახლეობის მიერ. ჯანმოს 2010 წლის მონაცემებით 350 000 ადამიანია ჩართული კერძო კორპორაციულ სადაზღვევო სქემებში. სახელმწიფო ვერ აფინანსებს სამედიცინო მომსახურების ყველა სახეს, სტომატოლოგიური მომსახურება უმთავრესად ფინანსდება კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ და ვრცელდება ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში ან კერძო კომპანიებში დასაქმებულ პირებზე, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას თვითონ უწევს სტომატოლოგიური მომსახურების გადახდა ან ვერ ხელეწიფება არასათანადო მატერიალური მდგომარეობის გამო. მატერიალური პირობები ამცირებს ადამიანთა ვიზიტის სიხშირეს სტომატოლოგთან, პირის ღრუს სანაციის ალბათობას, რაც აუარესებს პირის ღრუს ჰიგიენას და ხელს უწყობს კარიესისა და პაროდონტის დაავადებების განვითარებას. ამას ემატება სხვა რისკ-ფაქტორებიც: კლიმატო-გეოგრაფიული, მემკვიდრული წინასწარგანწყობა და ქსოვილების სტრუქტურული არასრულფასოვნება, ორგანიზმის ზოგადი დაავადებები და მდგომარეობები და შედეგად ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება, ასევე ქცევითი ფაქტორები, რომელთა მნიშვნელოვანი როლი პირის ღრუს დაავადებათა განვითარებაში აღწერილია მრავალრიცხოვან ეპიდემიოლოგიურ კვლევებში – ადამიანთა სამედიცინო განათლების დონე, სტომატოლოგიური მომსახურების საჭიროების და მნიშვნელობის გაცნობიერება ზოგადი ჯანმრთელობისათვის, კვების ხასიათი და რეჟიმი, არაჯანსაღი ცხოვრების სტილი(თამბაქოს, ნარკოტიკის და სასმელის მოხმარება) პაციენტთა დამოკიდებულება პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ ჩვევებთან– ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარებასა და გავრცელებაზე.

მაღალი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების არსებობა და მათი უფულვებელყოფა მრავალ მედიკო-სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას შეუქმნის საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი გართულებების სიხშირისა და ორგანიზმზე ნეგატიური გავლენის გზით[127]. სწორედ ამიტომ ამ მაჩვენებლების გამოვლენა, შესწავლა-შეფასება აქტუალური საკითხია, მით უმეტეს რომ საქართველოში ბოლო 22 წლის მანძილზე არ არსებობს სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური მონაცემები, რაც საშუალებას მოგვცემს აღირიცხოთ ამ დაავადებათა გავრცელება, სიხშირე და ინტენსივობა, გამოვლინდეს ხელშემწყობი თუ მაპროვიცირებელი ფაქტორები (მედიკო-ბიოლოგიური, კლიმატო-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.), ხოლო მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე მოხდეს სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რასაც მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულება აქვს დაავადებათა გავრცელების შემცირების თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში სტომატოლოგიურ დაავადებათა სიხშირისა და გავრცელების დადგენა, მათი თავისებურებების შესწავლა კლიმატო-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ჰიგიენური, ქცევითი, მედიკო-ბიოლოგიური და ასევე სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით და ამ ფაქტორების საფუძველზე პრევენციული ღონისძიებების თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბება.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოს მოზრდილ მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის დადგენა
- საქართველოს მოზრდილ მოსახლეობაში სტომატოლოგიურ დაავადებათა ტერიტორიული, ასაკობრივი, სქესის მიხედვით განაწილების და სიხშირის შესწავლა.

- სტომატოლოგიურ დაავადებათა კორელაციის შესწავლა სხვადასხვა კლიმატო-გეოგრაფიულ, სანიტარულ-ჰიგიენურ, მედიკო-ბიოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ქცევით და სხვა ფაქტორებთან.
- გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინებით სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის თანამედროვე პრინციპების და მიმართულებების ჩამოყალიბება, რასაც მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალური, ისე სამედიცინო თვალსაზრისით.

კვლევის სიახლე

- პირველად საქართველოში ბოლო 22 წლის მანძილზე განხორციელდა ფართომასშტაბიანი, კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევა ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიურ დაავადებათა აქტიური გამოვლენის მიზნით.
- პირველად 22 წლის მანძილზე განხორციელდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება, დადგენილ იქნა სტომატოლოგიურ დაავადებათა სიხშირე და გავრცელება და მათი ტერიტორიული განაწილება.
- შესწავლილი იქნა ასევე სხვადასხვა რისკ-ფაქტორების (სოციალურ-ეკონომიკური, კლიმატო-გეოგრაფიული, მედიკო-ბიოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური, ქცევითი, და სხვა) გავლენა საქართველოს მოსახლეობის სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელებაზე.
- მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა თანამედროვე პრევენციული ღონისძიებების კომპლექსი.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

კვლევის შედეგად დადგინდა საქართველოს მოზრდილი მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსი, გამოიკვეთა კორელაციური კავშირი საქართველოს მოზრდილი მოსახლეობის სტომატოლოგიურ სტატუსსა და რისკ-ფაქტორებს შორის, რისკ-ფაქტორების გამოვლენის საფუძველზე შემუშავდა დიფერენცირებული პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი.

საქართველოში ბოლო 22 წლის მანძილზე არ არსებობს ეპიდემიოლოგიური კვლევა სტომატოლოგიურ დაავადებათა გამოსავლენად, ვფიქრობთ, კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ეპიდემიოლოგების, სტომატოლოგებისა და ჰიგიენისტებისათვის. მათ მიეცემათ საშუალება მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დაიგეგმოს და განხორციელდეს სამკურნალო პროფილაქტიკური პროგრამები სხვადასხვა კუთხით, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას დაავადებათა შესამცირებლად, რათა მათ მინიმუმადე დაიყვანონ შაქრის, თამბაქოს, ალკოჰოლის მოხმარება, დიდი ყურადღება დაუთმონ პირის ღრუს ჰიგიენას და აიმაღლონ ჰიგიენური უნარ-ჩვევები. სპეციალისტებს მიეცემათ საშუალება შექმნან პროგრამები, რომლებიც გააძლიერებს მოსახლეობის პირის ღრუს ნადების და დაავადებათა კონტროლს, ასევე ფტორის ორგანიზმისათვის მიწოდების ხერხებს და შესაძლებლობებს, განახორციელონ პროექტები სტომატოლოგიურ დაავადებათა აღწერისა და კონტროლისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში სამედიცინო და სტომატოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებასა და ამაღლებას.

რადგან კვლევა ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების კლიმატო-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, მედიკო-ბიოლოგიური, ქცევითი და სხვა ფაქტორების, მათ შორის სხვადასხვა ზოგადი დაავადებების ზეგავლენის შეფასებას პირის ღრუს დაავადებათა განვითარებაზე, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება სხვადასხვა პროფილის მედიკოსებისათვის, რათა დაიგეგმოს და განხორციელდეს სამკურნალო და პრევენციული ღონისძიებათა კომპლექსი. მაგალითად, ცნობილია კარიესის მაღალი გავრცელება ენდემური ჩიყვის რეგიონებში[127]. რადგან ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები გავლენას

ახდენს კარიესის განვითარებაზე, ჩიყვის ენდემურ რაიონებში ისეთი პროგრამის განხორციელება რომელიც ერთდროულად მოიცავს კარიესის და ჩიყვის მასობრივ პროფილაქტიკასა და მკურნალობას ასეთ რეგიონებში, მნიშვნელოვნად შეამცირებს ორივე დაავადების გავრცელებას, ჩამოაყალიბებს ადამიანების ცნობიერებაში ექიმთან ვიზიტის და დაავადებათა ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკის საჭიროებას, რაც დიდ წვლილს შეიტანს საზოგადოების სამედიცინო კულტურის ამაღლებაში.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელება და რისკ-ფაქტორები

პირის ღრუს ჯანმრთელობის სფეროში არსებული წარმატებების მიუხედავად სტომატოლოგიური დაავადებები კვლავ რჩება მწვავე და აქტუალურ პრობლემად მსოფლიოში, განსაკუთრებით მსოფლიო პოპულაციის ღარიბ და არაპრივილეგირებულ ჯგუფებში როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში.

სტომატოლოგიური დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია კბილის კარიესი და პაროდონტის დაავადებები. მათ განვითარებაში მთავარი როლი მიკრობს ენიჭება, თუმცა ეს დაავადებები მულტიფაქტორული ხასიათისაა და მათ განვითარებაზე მრავალი ადგილობრივი და ზოგადი რისკ- ფაქტორი მოქმედებს.

კბილის კარიესი ძალიან გავრცელებული დაავადებაა მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმოს) მონაცემებით კარიესის გავრცელება მოიცავს ბავშვთა კონტინგენტის 60–90%-ს, ზრდასრული პოპულაციის თითქმის 100% აღენიშნება კარიესი, ხოლო 30% -ს აღარ აქვთ ბუნებრივი კბილები 65-74 წლის ასაკში. დღესდღეობით კარიესის გავრცელება და სიხშირე ვარირებს არამხოლოდ პლანეტის სხვადასხვა ნაწილში არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც[1].

პირის ღრუს დაავადებათა გავრცელება ვარირებს გეოგრაფიული რეგიონების და სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის მიხედვით. უმრავლესობა ინდუსტრიულ ქვეყნებში და ლათინო-ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება კარიესით ავადობის(კბა ინდექსი) მაღალი მაჩვენებლები: >13,9. უკბილო ზრდასრულ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი მაღალია მთელ რიგ ქვეყნებში კანადა-58%, ალბანეთი-69%, ისლანდია 72%, მცირე აზია 57%, ბელგია 53% [2].

ინდოეთში ჩატარებულმა კვლევამ ბავშვებში გამოავლინა 58% კარიესის გავრცელება, ამერიკის ზრდასრულ მოსახლეობაში ის შეადგენს 93,8%-ს ხოლო ბავშვებში 45,3% -ს, ბრაზილიასა და ჩინეთში დაავადების გავრცელებამ ეპიდემიურ მაჩვენებელს მიაღწია[3].

ბევრ განვითარებად ქვეყანაში კარიესის დონე მატულობს დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში და განსაკუთრებით მაღალია ღარიბ და არაპრივილეგირებულ პოპულაციურ ჯგუფებში, როგორც ბავშვებში, ასევე ზრდასრულებში. აფრიკელი ბავშვების 60-80%-ს აქვთ კარიესით დაზიანებული კბილები რასაც უკავშირებენ შაქარზე გაზრდილ მოთხოვნილებასა და ფთორიდების არაადექვატურ გამოყენებას[4]. განვითარებულ ქვეყნებში კი პირიქით კარიესის გავრცელება შემცირდა ბოლო ასწლეულის მანძილზე [5].

კბილის კარიესი დღესდღეობით მისი უკვე ცნობილი მულტიეტოლოგიური ბუნებისა და ეფექტური პრევენციის შესაძლებლობების მიუხედავად კვლავ წარმოადგენს ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე გავრცელებულ დაავადებას ის აზიანებს ყველა პოპულაციას და ასაკობრივ ჯგუფს და წარმოადგენს ძნელად აღმოსაფხვრელ დაავადებას რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებთან ურთიერთკავშირით: სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ბიოლოგიური, ქცევითი ფაქტორები, გარემო პირობები, ნერწყვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, გენეტიკური წინასწარგანწყობა, ფტორის ნაკლები შემცველობა სასმელ წყალში, რადიაცია, ზოგადი ქრონიკული დაავადებები. უფრო მეტიც ზოგად დაავადებებს ხშირად აქვთ პირის ღრუში გამოვლინება(მაგ. დიაბეტი) მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფაქტორებიც,[6]როგორცაა კვება (განსაკუთრებით შაქრის ხშირი მოხმარება) ფტორიდების არასაკმარისი გამოყენება, პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა, არაჯანსაღი ცხოვრების სტილი, (არასრულფასოვანი დიეტა, თამბაქოს და

ალკოჰოლის მოხმარება), სტომატოლოგიური მომსახურების ნაკლები ხელმისაწვდომობა [6].

კვებითი ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კარიესის განვითარებაში. კბილის ბალთაში არსებული მიკროორგანიზმების Streptococcus Mutans and Lactobacillus მოქმედების შედეგად პირის ღრუში არსებული ნახშირწყლები დაშლის შედეგად წარმოქმნილი მჟავა იწვევს კბილის მაგარი ქსოვილების რღვევას რასაც მივყავართ დემინერალიზაციის პროცესთან და საბოლოოდ ღრუს ჩამოყალიბებასთან, თუმცა ისეთი ფაქტორები როგორცაა საკვების ხასიათი, ნახშირწყლების მოხმარების სიხშირე და პირის ღრუში მათი დაყოვნების დრო, ნერწყვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები, რომლებიც განსაზღვრავენ კბილის ქსოვილების რემინერალიზაციის პროცესებს მნიშვნელოვანია დემინერალიზაციის პროცესის განვითარებაში [7-9].

მრავალმა კვლევამ ცხადყო რომ არსებობს დამოკიდებულება პირის ღრუს დაავადებებსა და სოციო-ეკონომიკურ სტატუსს შორის: რაც ნაკლებია ეს სტატუსი მით უარესია ადამიანთა პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობა [10-12].

ფინანსური სტატუსი, ქცევითი ფაქტორები და ცხოვრების სტილი დაკავშირებულია პირის ღრუს დაავადებებთან [11].

ამ ფაქტორების გავლენა პირის ღრუს დაავადებებზე აღწერილია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებში [13-15]. ის მოქმედებს კარიესის განვითარებაზე სხვადასხვა გზით: ოჯახის დაბალი შემოსავალი გავლენას ახდენს საკვების არჩევასა და დედისა და შვილის მიერ კვებითი ელემენტების მიღებაზე კბილების განვითარების პერიოდში. მან ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს განათლების ხარისხზე, ჯანმრთელობის ღირებულებებზე, ცხოვრების წესსა და ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. განსხვავება ამოღებულ, დაბჟენილ და კარიესული კბილების რაოდენობებს შორის სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანებში განპირობებულია პროფილაქტიკური ღონისძიებებით, ადრეული დიაგნოსტიკით და დროული მკურნალობით, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომია კარგი ეკონომიკური შესაძლებლობების ადამიანებში. ამგვარად სოციო-

ეკონომიკური ფაქტორი კარიესის განვითარების რისკის ინდიკატორს წარმოადგენს [15].

ბევრი დაავადებისაგან განსხვავებით კარიესს იშვიათად მივყავართ დრამატულ შედეგებამდე მაგრამ ორგანიზმში ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მიზეზი შეიძლება გახდეს [16].

კბილის ქსოვილების მნიშვნელოვანი დესტრუქციის შედეგად მცირდება ლექვითი უნარი (ტკივილის გამო), არასრულფასოვნად დაღეჭილი და გადამუმავებული საკვები კი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაზიანების მიზეზი შეიძლება გახდეს და კუჭის და ნაწლავების ლორწოვანში შეუქცევადი ცვლილებებიც კი გამოიწვიოს, გარდა ამისა კარიესისაგან დაზიანებული კბილების ბასრი კიდეები იწვევენ პირის ღრუს რბილი ქსოვილების ლორწოვანის გაღიზიანებას და გინგივიტის, გლოსიტის, სტომატიტის და პრეკანცერული დაზიანებების წარმოქმნას, კარიესის გართულება კი შეიძლება ორგანიზმის ბაქტერიული ინვაზიის და სხვადასხვა ანთებითი დაავადებების მიზეზი გახდეს, როგორცაა ოსტეომიელიტი, აბსცესი , ფლეგმონა, ლიმფადენიტი და სეფსისი. მან ასევე შეიძლება გამოიწვიოს კანის, თვალის, გულის, ფილტვების, თირკმელების და სახსრების მეორადი დაზიანება[17].

პირის ღრუს დაავადებები უმთავრესი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა მაღალი გავრცელების და სიხშირის გამო მთელს მსოფლიოში[18]. ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში კვლავ აღინიშნება მნიშვნელოვანი უთანასწორობა ჯანმრთელობასა და პირის ღრუს დაავადებებს შორის[19,20].

დასავლეთის ბევრ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში პოპულაციისათვის ხელმისაწვდომი სტომატოლოგიური მომსახურება მოიცავს პრევენციულ და სამკურნალო ღონისძიებებს და დაფუძნებულია კერძო ან საჯარო სისტემებზე. თუმცა ღარიბი საზოგადოება, გარკვეული ეთნიკური უმცირესობები, უსახლკარო და უნარშეზღუდული ადამიანები და მოხუცებულები არასათანადოდ არიან უზრუნველყოფილნი სტომატოლოგიური მომსახურებით. ბევრი განვითარებადი ქვეყანა განიცდის სტომატოლოგიური პერსონალის ნაკლებობას, მომსახურებას უმთავრესად უზრუნველყოფს ურბანული ცენტრების რეგიონული ან

ცენტრალური ჰოსპიტლები და ნაკლები ყურადღება ექცევა პრევენციასა და რესტავრაციულ მკურნალობას. სტომატოლოგების წილი მოსახლეობაზე აფრიკაში შეადგენს 1:150 000, ხოლო უმრავლეს ინდუსტრიულ ქვეყნებში 1: 2000[21]. ბევრ განვითარებად ქვეყანაში სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, კბილები ხშირად რჩება უმკურნალებელი ან ამოიღება ტკივილის და დისკომფორტის და მატერიალური ხელმოკლეობის გამო, ამიტომაც, კბილების კარგვა და პირის ღრუს გაუარესებული მდგომარეობა გადაიზრდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაში ბევრ განვითარებად ქვეყანაში[21].

კარიესული დაზიანების შედეგად განპირობებული ტკივილი, დისკომფორტი და კბილების კარგვა იწვევს ესთეტიურ და ფუნქციურ დარღვევებს და მნიშველოვან უარყოფით გავლენას ახდენს პირის ღრუსა და ზოგად ჯანმრთელობაზე, ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე[22]. ამიტომაც სტომატოლოგიური დაავადებები საჭიროებს სერიოზულ პროფესიულ დამოკიდებულებას და მკურნალობას გართულებების თავიდან ასაცილებლად. ტრადიციული მკურნალობა საკმაოდ ძვირია და წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას ინდუსტრიული ქვეყნებისათვის სადაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბიუჯეტის 5-10% მოდის პირის ღრუს ჯანმრთელობაზე (პრევენციასა და მკურნალობაზე)[23]. კბილის კარიესი ერთ -ერთი ყველაზე უფრო ძვირი დაავადებაა სამკურნალოდ. ევროპის მასშტაბით კბილის კარიესთან დაკავშირებული სტომატოლოგიური მომსახურება 2011 წელს შეფასდა 79 მილიარდ ევროდ[24].

განვითარებად ქვეყნებში სახსრები უმთავრესად გამოყოფილია გადაუდებელ დახმარებასა და ტკივილის შემსუბუქებაზე[1] და ნაკლები ყურადღება ექცევა პრევენციას. ფინანსური ხელმოკლეობა განსაზღვრავს სტომატოლოგიური მომსახურების ნაკლებ ხელმისაწვდომობას. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი შაქრის გაზრდილ მოხმარებასა და ფტორიდების არასაკმარის გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანი წინაპირობაა პირის ღრუს ჯანმრთელობის პრობლემების და ავადობის გაზრდაში განვითარებად ქვეყნებში.

ავადობა არის დაავადების გავრცელების მაჩვენებელი, რომლის გამოვლენა ან რეგისტრირება მოხდა წლის განმავლობაში მთლიანად მოსახლეობაში ან მის

გარკვეულ ჯგუფებში (წლოვანების, სქესის, ტერიტორიული განაწილების პროფესიული და სხვათა მიხედვით)

კარიესით ავადობის შესაფასებლად მოწოდებულია 3 მაჩვენებელი [25]:

1) კარიესის გავრცელება (განისაზღვრება 100 გამოკვლეულზე კარიესით დაავადებული ადამიანების რიცხვით). კარიესის გავრცელება დაბალია თუ ის <30%-ზე, 31-80% ითვლება საშუალო, ხოლო 81%-ზე ზევით მაღალ გავრცელებად.

2) კარიესის ინტენსივობა (განისაზღვრება 1 გამოკვლეულზე კარიესით დაზიანებული დაზეენილი და კარიესის ან მისი გართულების გამო ამოღებული კბილების ჯამით) [25]. კარიესის ინტენსივობის შესაფასებლად ჯანმო-ს მიერ მოწოდებულია კბა(DMFT), კბა-ზ(DMFS) ინდექსები. კბა გამოხატავს კარიესით დაზიანებული(კ) კბილების, კარიესის გამო დაკარგული კბილების(ა), დაზეენილი ან რესტავრირებული კბილების(ბ) საერთო რაოდენობას, ხოლო კბა-ზ შეესაბამება კარიესით დაზიანებული(კ), კარიესის გამო დაკარგული(ა), დაზეენილი ან რესტავრირებული კბილების(ბ) ზედაპირების საერთო რაოდენობას. კარიესის ინტენსივობის შესაფასებლად მუდმივ თანკბილვაში ჯანმოს მოწოდებული აქვს შემდეგი კრიტერიუმები:35-44წწ და 65-74წწ ასაკობრივ ინდექსურ ჯგუფებში კარიესის ინტენსივობა ძალიან დაბალია თუ კბა ინდექსი <5,0-ზე, დაბალი-5,0-8,9-მდე, კბა მაჩვენებელი 9,0-13,9 განიხილება ზომიერ, ხოლო >13,9 - მაღალ ინტენსივობად [26].

3) კარიესის ინტენსივობის ზრდა ანუ ინტენსივობის ნამატი, რაც განისაზღვრება გარკვეული დროის პერიოდში ახალი კარიესული ღრუების რაოდენობით.

სტომატოლოგიური ავადობის შესაფასებლად დადგენილია გარკვეული მოთხოვნები. ჯანმო-ს რეკომენდაციით 3 წლის ასაკში ხდება სარძევე კბილების, 6 წლის ასაკში-მუდმივი პირველი მოლარების, 12 წლის ასაკში-მუდმივი კბილების, ხოლო 15 წლისათვის – პაროდონტის მდგომარეობის, 35-44წ კბილებისა და პაროდონტის მდგომარეობის შეფასება. 65-74 წლისათვის კი გამოკვლევა ტარდება მოხუცებულთა სტომატოლოგიური დაზიანების დასადგენად [27].

კბილების დაკარგვა მოზრდილ პოპულაციაში არა მხოლოდ კარიესის და მისი გართულებების, არამედ პაროდონტის დაავადებებითაც არის განპირობებული. კბილის კარიესი და პაროდონტის დაავადება ყველა სოციალურ-ეკონომიკურ კლასს და მსოფლიო პოპულაციის დიდ უმრავლესობას მოიცავს და მთავრდება ყბა-სახის ინფექციებით და კბილების კარგვით არაადექვატური მკურნალობის შემთხვევაში [4].

პაროდონტის დაავადება განისაზღვრება როგორც პათოლოგიური პროცესი, რომელიც აზიანებს პაროდონტის ქსოვილს და გამოვლინდება გინგივიტის და პაროდონტიტის სახით. მთავარი ეტიოლოგიური ფაქტორი არის ბაქტერიული ნადები, რომელიც გროვდება კბილ-ღრძილოვანი კავშირის დონეზე [28] პირის ღრუს არასრულფასოვანი ჰიგიენის ფონზე. მიკროორგანიზმები და მათი დაშლის პროდუქტების პაროდონტის ქსოვილზე მოქმედების შედეგად ადგილი აქვს კბილ-ღრძილოვანი ღარის სითხის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს, კბილ-ღრძილოვანი კავშირი ირღვევა, ყალიბდება ე.წ პაროდონტალური ჯიბე როგორც პათოგენური მიკრობისა და მასპინძელი ორგანიზმის იმუნური სისტემის კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგი [29,30].

ქრონიკული პაროდონტიტი პაროდონტის ქსოვილის ქრონიკული ინფექციური დაავადებაა, რომელიც უმთავრესად გრამ-უარყოფითი ბაქტერიებით არის გამოწვეული მათ შორის: *Porphyromonasgingivalis* (Pg), *Prevotellaintermedia* (Pi), *Aggregatibacter actinomycetemcomitans* (Aa) and *Tannerella forsythia* (Tf) [31].

პროცესის პროგრესირებისას ანთება ძვლოვან ქსოვილში ვრცელდება. ხდება კბილბუდის ძვლოვანი ქსოვილის განლევა, კბილები ნაკლებადაა გამაგრებული კბილბუდეში, იწყება მათი მორყევა და გადანაცვლება, საბოლოოდ კი კბილების დაკარგვა. ადგილობრივად დაავადების განვითარებას ხელს უწყობს პირის ღრუს დაბალი კარიბჭე, ენისა და ტუჩის მოკლე ლაგამი, ლორწოვანის მოკლე ჭიმები, კბილთა დგომისა და თანკბილვის ანომალიები, არასრულფასოვნად და არასწორად გაკეთებული ბჟენები, ორთოპედიული და ორთოდონტიული კონსტრუქციები და სხვა.

პაროდონტიტი წლების მანძილზე განიხილებოდა ასაკის დაავადებად, თუმცა მრავალმა ექსპერიმენტულმა და ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა ის სპეციფიკური რისკ-ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის მიდრეკილებას და რისკს პაროდონტის დაავადებების მიმართ: თამბაქოს მოხმარება, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტატუსი, მთელი რიგი ქრონიკული ზოგადი დაავადებები, როგორცაა, ქრონიკული რესპირატორული დაავადება, გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული, იმუნური სისტემის, კუჭ-ნაწლავის და ნერვული სისტემის დაავადებები და მოშლილობები, სიმსუქნე, საცხოვრებელი გარემო-პირობები თუ ფსიქოლოგიური სტრესი[32-34], მეორეს მხრივ მზარდი მტკიცებულება არსებობს იმის შესახებ რომ პაროდონტის დაავადებებმა შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა ზოგადი დაავადებები ანთებითი მედიატორებისა და პირის ღრუს პათოგენების სისტემური ცირკულაციის შედეგად [35].

პირის ღრუს ეკოსისტემაში ბევრი მიკრობული სახეობა არსებობს პირის ღრუს რბილ და მაგარ ქსოვილებზე, დაახლოებით 700 სახეობის მიკრობი შეინიშნება პირის ღრუს მიკრობულ შემადგენლობაში[36]. ეს მიკრობები ქმნიან რთულ კომპლექსს[37-40]. მიკრობული ფლორის შემადგენლობა დამოკიდებულია მასპინძლის პასუხზე, პირის ღრუს დაავადებებსა და პირის ღრუში ლოკალიზაციაზე [41- 43].

ეკოსისტემის შემადგენლობა ვარიირებს პათოლოგიური პროცესების გამო, როგორცაა, კარიესი და პაროდონტის დაავადებები, ცვლიან რა ისინი მიკრობული ფლორის შემადგენლობას[43-45]. ხოლო პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა ხლს უწყობს ნადების დაგროვებას, რასაც მივყავართ პათოგენური ბაქტერიის გამრავლებასა და პაროდონტის დაავადებების მწვავე ფორმების განვითარებასთან.

მსოფლიოში მრავალრიცხოვანი კვლევები ადასტურებს, რომ კბილის ნადების ზრდა და ღრძილის ქსოვილის ანთება მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან ასაკის, სქესის და რასობრივი თუ ეთნიკური წარმომავლობისგან დამოუკიდებლად[46]. დადებითი დამოკიდებულება კბილების რეგულარულ ხეხვას, პირის ღრუს კარგ ჰიგიენასა და პაროდონტის დაავადებების დაბალ გავრცელებას შორის კარგად ცნობილია [47] და აღწერილია სხვადასხვა კვლევებში[48- 50].

თამბაქოს წვევა უმთავრესი ქცევითი ფაქტორია პაროდონტის დაავადებათა განვითარებაში[51-54]. მწვეველებს 11-ჯერ მეტად აღენიშნებათ პაროდონტიტის გამომწვევი ბაქტერიები, ვიდრე არამწვეველებს და 4-ჯერ უფრო ხშირად პაროდონტის დაავადებები არამწვეველებთან შედარებით[55,56], პაროდონტის დაავადებათა მკურნალობის უკეთესი შედეგები შეინიშნება არამწვეველებში ვიდრე მწვეველებში[57]. გარდა ამისა, მწვეველებში უფრო მწვავედ არის გამოხატული ალვეოლური ძვლოვანი ქსოვილის განლევა, კბილების მორყევა, ღრმა პაროდონტალური ჯიბეები და კბილების კარგვა ვიდრე არამწვეველებში[58].

პაროდონტის დაავადებების გავრცელება იზრდება ასაკთან ერთად [59-61], გვხვდება უფრო ხშირად მამაკაცებში, ვიდრე ქალებში[62,63].

ჯანმო-ს მონაცემებით მსოფლიოში 35–44წ ასაკობრივ ჯგუფში სწრაფად პროგრესირებადი მწვავე გენერალიზებული პაროდონტიტი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში 5–15% ფარგლებში მერყეობს, ხოლო ქრონიკული მსუბუქი და საშუალო ფორმების არსებობა მოზრდილი მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში შეინიშნება [64]. პაროდონტიტი მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემაა ამერიკის ზრდასრულ პოპულაციაში, მათ 35%-ს აქვთ ქრონიკული პაროდონტიტი და 10%-15% დაავადების მწვავე ფორმები აღენიშნებათ[65]. პაროდონტის ქსოვილების პათოლოგიები ფინეთში 11%-ს შეადგენს, ჰონგ-კონგში 20-37%-ს, ხოლო 70%-ს დიდი ბრიტანეთის ზრდასრულ მოსახლეობაში [66].

კარიესის თუ პაროდონტის დაავადების გამო განვითარებული ტკივილი, დისკომფორტი და კბილების დაკარგვა ფუნქციური და ესთეტიური ხასიათის დარღვევებს იწვევს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ხარისხზე. უკბილობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ასაკთან[67-72], განათლებასთან[73-75], ფინანსურ მდგომარეობასთან[76-80], სოციალურ კლასთან[81-83] და მოწვევასთან [84-87], როგორც ამას სხვადასხვა ქვეყნების მონაცემები მოწმობს.

სტომატოლოგიურ მონაცემთა გლობალური ბანკი გვიჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნები და ლათინური ქვეყნების ნაწილი პაროდონტალური ინდექსის საკმაოდ მაღალი და საშუალო მაჩვენებლებით ხასიათდებიან, (WHO,2004), უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში სტომატოლოგიური დახმარების

ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, კბილები ხშირად რჩება უმკურნალებელი ან ექვემდებარება ამოღებას ტკივილის, დისკომფორტის და მატერიალური ხელმოკლეობის გამო. კბილების დაკარგვისა და პირის ღრუს გაუარესებული ფუნქციური მდგომარეობის შედეგად სპეციალისტები მოელიან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების მომატებას განვითარებად ქვეყნებში.

1.2 სტომატოლოგიური და სომატური დაავადებები

პირის ღრუს დაავადებები, კერძოდ კი კარიესი და პაროდონტის დაავადებები დაკავშირებულია მრავალ სომატურ დაავადებასთან. ხშირად ისინი წარმოადგენენ ზოგადი დაავადების მიზეზს ან პირიქით, ამ დაავადების პირის ღრუში გამოვლინებას.

ქრონიკული დაავადებები უფრო დამახასიათებელია ღარიბი სოციალური ფენისათვის და ხშირად ასოცირდება რასასა და ეთნიკურობასთან. ეკონომიური სიდუხჭირის მქონე ადამიანები ხშირად უმუშევრები არიან, განიცდიან სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობას და ნაკლებად აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრების სტილსა და ჯანმრთელობას.

ყბების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პირის ღრუს ირგვლივი ქსოვილების დაზიანება ზოგჯერ კუჭ-ნაწლავის დაავადებების გამოვლინებაა. ორალური დაზიანებები დაავადებების აღმოცენებამდე შეიძლება განვითარდეს, არსებობდეს დაავადების მიმდინარეობის პროცესში, ან გაგრძელდეს დაავადების აღმოფხვრის შემდეგაც, ზოგჯერ ორალური ცვლილებები მსგავსია კუჭ-ნაწლავის დაზიანებებისა, სხვა დროს კი ისინი ვითარდება მეორადად, კუჭ-ნაწლავის პრობლემებთან, კერძოდ კი შეწოვის ფუნქციის დარღვევასთან დაკავშირებულ სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებით [88].

კუჭ-ნაწლავის დაავადებებს ხშირად თან ახლავს ცვლილებები პირის ღრუში რაც მთლიანად პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებით გამოვლინდება, განსაკუთრებით კი ენის ლორწოვანის ცვლილებებით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა და მიაწინებდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფარულ დაზიანებაზე. ყველაზე ხშირი სიმპტომია ნადებიანი ენა. ნადები ძირითადად ვლინდება გასტრიტის, კუჭისა და და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების ენტეროკოლიტის, კუჭის სიმსივნის დროს[89].

კუჭ-ნაწლავის დაავადებების კიდევ ერთი სიმპტომია ენის შეშუპება, რომელიც წარმოადგენს ნაწლავთა ქრონიკული დაზიანების პათოგნომურ ნიშანს და განპირობებულია ნაწლავების შემწოვი უნარისა და ბარიერული ფუნქციის დარღვევით. ცვლილებები ვითარდება ენის დვრილოვან აპარატშიც და გამოვლინდება ჰიპერპლაზიური და ჰიპოპლაზიური გლოსიტის სახით. მსხვილი ნაწლავების დაავადებების დროს ხშირად ვითარდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის წყლულოვანი დაზიანებები რაც დაავადების დროს განვითარებული ტროფიკული დარღვევის შედეგია. წყლულოვანი დაავადებების, კოლიტის და ენტეროკოლიტის დროს პირის ღრუში ვითარდება კატარული სტომატიტი და ვლინდება ჰიპერემიული უბნების სახით [89].

კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია მიკროელემენტებისა და ცილების არასრულფასოვან მიღებასთან ხშირად გავლენას ახდენს პირის ღრუს ქსოვილებზე. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს რკინისა და ვიტამინ B12 შეწოვის დარღვევა რკინა დეფიციტური და პერნიციოზული ანემიების დროს შესაბამისად. პირველ გამოვლინებას პირის ღრუში წარმოადგენს ატროფიული გლოსიტი, რომლის დროსაც ენის ზურგზე განლაგებული ფოთლისებური და სოკოსებური დვრილები განიცდიან ატროფიას. შედეგად მიიღება გამიშვლებული წითელი ენა, ძალიან მწვავე შემთხვევებში შესაძლებელია გაჩნდეს ზედაპირული მრგვალი ან ოვალური ხანგრძლივად მოუშუშებელი წყლულები მკვეთრი წითელი საზღვრებით, რომლებიც კლინიკურად აფტოზურ წყლულებს წააგავს. დაზიანებები საკმაოდ მტკივნეულია, მაგრამ უფრო ხშირი ჩივილი არის წვის შეგრძნება, რომელიც შესაძლოა კლინიკურად გამოხატულ ორალურ დაზიანებას უსწრებდეს წინ. ატროფია

შეიძლება მოიცავდეს ლორწოვანის სხვა უბნებსაც წყლულების და წვის სახით, მაგრამ ეს სიმპტომები ენასთან შედარებით ნაკლებადაა გამოხატული და ხშირად შეუმჩნეველი რჩება. პაციენტები მიდრეკილნი არიან სოკოვანი ინფექციის და განსაკუთრებით ანგულარული ჰეილიტის განვითარებისადმი, ამგვარად ატროფიული გლოსიტი შეიძლება წარმოადგენდეს საკვები ნივთიერებების შეწოვის დარღვევის ინდიკატორს და შესაძლებელია დიაგნოსტიკის როგორც სტომატოლოგის ასევე გასტროენტეროლოგის მიერ[90].

პირის ღრუს ლორწოვანის ცვლილებები აღინიშნება ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადებების დროსაც. ქრონიკული ჰეპატიტის დროს ადგილი აქვს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებით და დისტროფიულ ცვლილებებს: ჰიპერემია, შეშუპება, პირის სიმშრალე, ეპითელიუმის დესქვამაცია, ჰემორაგიები და ტელეანგიექტაზიები და სხვ.

კვლევებით დადგენილია გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადების მნიშვნელოვნად მაღალი გავრცელება ქრონიკული პაროდონტიტით დაავადებულ პაციენტებში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ეს დაავადება ქრონიკული პაროდონტიტის დამოუკიდებელ რისკ -ფაქტორს წარმოადგენს სხვა რისკ-ფაქტორების არსებობის მიუხედავად როგორც კარიესი, თამბაქოს მოხმარება და სხვა. გასტროეზოფაგური რეფლუქსური დაავადების, როგორც ქრონიკული პაროდონტიტის განმაპირობებელი ფაქტორის ყველაზე გონივრული ახსნას წარმოადგენს სანერწყვე ჯირკვლების ფუნქციის მოშლა და ჰიპოსალივაცია, პირის ღრუს ქსოვილები შეღწევადი ხდება კუჭის წვენის მჟავის და პროტეოლოზური ფერმენტების მიმართ და საბოლოოდ იწვევს ქრონიკული პაროდონტიტის განვითარებას[65].

გასტროეზოფაგური რეფლუქსის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის და ბულემიის დროს ხშირად აღინიშნება კბილების ისეთი არაკარიესული დაავადება როგორცაა მინანქრის ეროზია, კლინიკურად ეს გამოვლინდება მინანქრის საკმაოდ ვრცელი დაზიანებით, კერძოდ კი იმ უბნებში დაკარგვით, რომლებიც განიცდიან კუჭის შიგთავსის ზემოქმედებას. ბულემიით დაავადებულ პირებში ჩვეულებრივ გაცვეთას განიცდის ზედა ყბის ფრონტალური კბილების შიგნითა ზედაპირები. გაცვეთილი

მინაქრის ზედაპირი არის გლუვი, მკვრივი და მზინავი, თუ ის ძალიან დათხელდა ქვემდებარე ქსოვილი მოყვითალო ფერის დენტინი შიშვლდება და შესამჩნევი ხდება. ხშირად აღინიშნება კბილების აწეული მგრძნობელობა(ჰიპერესთეზია) ტემპერატურული ცვლილებებზე [91,92].



სურ 1. ბულემიით დაავადებული პაციენტის ზედა ფრონტალური კბილების ეროზიისაგან გაცვეთილი მინანქარი [88]

რადგანაც მინაქრის ეროზიის სიმძიმე დამოკიდებულია კუჭის წვენი ზემოქმედების დროზე, გასტროენტეროლოგმა შეიძლება დაზიანების ხარისხის მიხედვით წარმოდგენა იქონიოს რეფლუქსის სიხშირესა და ხანგრძლივობაზე, ხოლო სტომატოლოგის მიერ დასმული დიაგნოზი დაეხმაროს გასტროენტეროლოგს დაავადების შეფასებაში.

ნაწლავების ანთებითი დაზიანება კრონის დაავადებისა და წყლულოვანი კოლიტის დროს არამარტო გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, არამედ გამოვლინდება პირის ღრუშიც. ეს ორალური გამოვლინებები შესაძლოა დამხმარე აღმოჩნდეს კლინიცისტიკისათვის დაავადების დიაგნოსტიკისა და მონიტორინგისათვის. კრონის დაავადებისათვის დამახასიათებელია ლორწოვანი გარსიდან წამოწეული ვარდისფერი გრანულაციური ქსოვილი ლოყის ლორწოვანზე[88].(სურათი 2) ტუჩებზე ორალური დაზიანებები შეიძლება იყოს მტკივნეული, გამოიწვიოს ფუნქციური და ფსიქოლოგიური დაზიანებები [93]



სურათი 2: ლოყის ლორწოვანის ცვლილება კრონის დაავადების დროს [88]

დუპუიმ აღმოაჩინა, რომ კრონის დაავადების შემთხვევაში პაციენტთა მხოლოდ 0,5%-ს განუვითარდა ორალური დაზიანებები[94]. მათ ასევე აღენიშნებოდათ ანალური და ეზოფაგიალური დაზიანებები და გამოხატული იყო უფრო მამაკაცებში და ახალგაზრდებში. ზოგჯერ ორალური გამოვლინება შეიძლება იყოს კრონის დაავადების პირველი ნიშანი, თუმცა ძირითადად ისინი ნაწლავთა დაზიანებასთან ერთად გვხვდება. ორალური დაზიანებები მულტიფოკალური, ხაზოვანი, კვანძოვანი, პოლიპოიდური წარმონაქმნების ან ლორწოვანის გაფანტული შესქელებების სახით გამოვლინდება და უფრო ხშირად აზიანებს ენისა და ლოყის ლორწოვანს, და ლოყის ლორწოვან ჭიმებს, წარმონაქმნებისათვის დამახასიათებელია სიმკვრივე, ვარდისფერი შეფერილობა და უმტკივნეულობა პალპაციისას, მათი დაწყლულების შემთხვევაში კი აღინიშნება ტკივილი შეხებისას, ასევე მჟავე, მწარე და ცხელი საკვების მიღებისას, წყლულები ხანგრძლივია, ხაზოვანი და ღრმა და განსხვავდება აფტოზური წყლულებისაგან რომლებიც ხასიათდება პირის ღრუს ლორწოვანის ზედაპირული, მრგვალი ან ოვალური დაზიანების სახით ეპითელიუმის ქვეშა შესქელებით და 7-14 დღის განმავლობაში სპონტანური შეხორცების უნარით.

შაქრიანი დიაბეტი ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია პაროდონტის დაავადებათა განვითარებაში და ხშირად პაროდონტის ანთება ამ დაავადების გამოვლინებას წარმოადგენს. დიაბეტი იწვევს ცვლილებებს პირის ღრუში, როგორცაა ღრძილებთან დაკავშირებული პრობლემები ჰიპერტროფული გინგივიტის და პაროდონტიტის სახით. სხვა დიაბეტ-დაკავშირებული პირის ღრუს პრობლემებს წარმოადგენს კბილის კარიესი, პირის ღრუს კანდიდოზი და გლოსოდიტია. ზოგ ადამიანს აღენიშნება აცეტონის გემო პირში, ზოგს კი ქსეროსტომია [95].

დიაბეტის პირის ღრუში გამოვლინება შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) პირის ღრუს მაგარი ქსოვილების და 2) რბილი ქსოვილების დაზიანება. პაროდონტის ქსოვილების დაზიანება აღინიშნება შემთხვევათა 34% -ში, ორალური კანდიდოზი 24%-ში, პირის ღრუს ლორწოვანის წყლულოვანი დაზიანებები-22%-ში, გემოვნების გაუკუღმართება 20% -ში, სანერწყვე ჯირკვლების ჰიპოფუნქცია და

ქსეროსტომია 14 %-ში, კბილის კარიესი 24%-ში, ხოლო პირის ღრუს წვის შეგრძნებები 10-% შემთხვევებში [96]. შაქრიანი დიაბეტი უარყოფითად მოქმედებს კაპილარული ქსელით მდიდარ ორგანოებსა და ქსოვილებზე, როგორცაა თირკმელები, ბადურა და ნერვები მეორადი მიკროანგიოპათიის განვითარებით. მსგავსი ცვლილებები ვითარდება პირის ღრუს ქსოვილებში, ამიტომაც დიაბეტით დაავადებული ადამიანები პაროდონტის დაავადებების განვითარების გაზრდილი რისკის ქვეშ არიან [97].

დიაბეტიანი ადამიანები ნაკლებად არიან მიდრეკილნი კარიესის განვითარებისაკენ ვიდრე არადიაბეტიკები, დღის განმავლობაში საკვების უფრო ხშირად მიღების მიუხედავად. სავარაუდოდ, დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლივობა გავლენას ახდენს კარიესის განვითარებაზე, ხოლო საქაროზის შეზღუდული მოხმარება იწვევს კარიესის ნაკლებად განვითარებას დიაბეტიკებში [98]. პაროდონტის დაავადებები აუარესებს გლუკოზის კონტროლს დიაბეტიან ადამიანებში, ხოლო არაკონტროლირებულმა დიაბეტმა შეიძლება გაამწვავოს პაროდონტის დაავადება [99].

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა ასოციაცია პირის ღრუსა და სისტემურ დაავადებებს, კერძოდ კარდიო-ვასკულარულ დაავადებას, პნევმონიასა და რევმატოიდულ ართრიტს შორის. ამ კვლევებმა აჩვენა დენტალური დაავადებების მკურნალობის გავლენა სისტემურ მდგომარეობებზე. კერძოდ, პაროდონტის დაავადების მკურნალობა დადებით გავლენას ახდენს კარდიო-ვასკულარულ დაზიანებებზე და გლუკოზის კონტროლზე [93].

პაროდონტის დაავადებების გამომწვევი ბაქტერია სისხლის ნაკადში დაკავშირებულია ათეროსკლეროზთან, კორონარული არტერიების დაავადებებსა და ინსულტის განვითარებასთან. ორალური პათოგენების ჰემატოგენური გზით გავრცელება არანამკურნალევი კარიესის პოტენციური რეზულტატია მას შემდეგ, რაც ბაქტერია მოხვდება პულპის კამერაში. ბაქტერიული ენდოკარდიტი წარმოადგენს ყველაზე ხშირ გართულებას. ბაქტერიული ენდოკარდიტის დაახლოებით 27% გამოწვეულია სწორედ streptococcus mutans-ით. კარიესოგენული და პაროდონტის გამომწვევი მიკროორგანიზმების ჰემატოგენური გავრცელება

განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებში იწვევს სერიოზულ კარდიალურ და ორთოპედიულ დაზიანებებს. ხოლო ბაქტერიემიის განვითარება და სიმწვავე კორელაციაშია ღრძილების ანთების პროგრესირებასთან[91].

დანტისტი და პირის ღრუს გამოკვლევა შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდეს გულ-სისხლძარღვთა დაავადების მიმართ ადამიანის რისკის განსაზღვრაში. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანთა პირის ღრუს მდგომარეობის შეფასებამ კვლევებში აჩვენა პირის ღრუს ჯანმრთელობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დაბალი დონე. ღრძილების დაავადებების მკურნალობა ამცირებს გულის დაავადების რისკს და აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას პაციენტებში გულ-სისხლძარღვთა და პაროდონტის დაავადებებით. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ პაროდონტის არაჯანმრთელი მდგომარეობის მაჩვენებლები წინ უსწრებს გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს, ხოლო ძვლოვანი ქსოვილის განლევის მაღალი მაჩვენებლები მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კორონარულ სისხლძარღვთა დაავადებებისა და ინსულტის განვითარებისათვის [101-103].

ეპიდემიოლოგიურმა კვლევებში აღწერილია, რომ ორალური ინფექცია შესაძლოა დამოუკიდებელ რისკს წარმოადგენდეს სხვა სისტემური მდგომარეობისთვისაც, როგორცაა ოსტეოპოროზი, ფილტვის დაავადებები და ნაადრევი მშობიარობა [104]. ასევე ნაჩვენებია პაროდონტის დაავადებების კავშირი სისხლძარღვების ათეროსკლეროზულ დაზიანებასთან რადგან ქრონიკული პაროდონტიტის გამომწვევი მიკრობები შესაძლოა მიგრირდეს ღრძილის ქსოვილის სისხლძარღვებიდან ათეროსკლეროზულ ფოლაქებში[105-107]. გარდა ამისა, ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების მაღალ შემცველობასა და პაროდონტიტის განვითარებას შორის არსებობს კავშირი [108-113].

კორონარული სისხლძარღვების დაზიანება და პაროდონტის დაავადებები ყველაზე გავრცელებული დაავადებებია დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში და საფრთხეს უქმნის მსოფლიო პოპულაციის ზოგად ჯანმრთელობას. კორონარების დაზიანება ნაადრევი სიკვდილის წამყვანი მიზეზია, ხოლო პაროდონტის დაავადებები-კბილების კარგვის. ორივე დაავადებას მსგავსი რისკ-ფაქტორები

გააჩნია, როგორცაა, მოწვევა, დიაბეტი და სქესი[114-117]. ორივე დაავადება ანთებითი პროცესის ქრონიკული მიმდინარეობით ხასიათდება. კვლევებმა აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი გულის კორონარულ დაავადებასა(coronary heart disease) და პაროდონტიტს შორის [118- 121] ასევე ბაქტერიული სპექტრის მსგავსება პირის ღრუს ნადებსა და კორონარულ დანალექში(plaques) [122,123].

პაროდონტიტი ასევე დაკავშირებულია სისხლში C რეაქტიული ცილის დონის მომატებასთან[124]. ეს არის ფენოტიპი, რომელიც განსაზღვრავს ზოგად გენეტიკურ რისკ-ფაქტორს პაროდონტიტისა და ათეროსკლეროზისათვის და მიუთითებს შესაძლო გენეტიკურ საფუძვლის არსებობაზე ორივე დაავადებისათვის [125,126].

საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს ზოგადი ქრონიკული დაავადებების გავრცელებას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რომელიც აუცილებელია იქნეს მიღებული მხედველობაში საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასებისას. ცნობილია რომ არსებობს კავშირი ჩიყვსა და კბილის კარიესს შორის[127,128]. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის(NCDC) 2012 წლის მონაცემების თანახმად, ჩიყვის გავრცელება მაღალია გურიაში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და აჭარაში და ნაკლებად კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში [129]. საქართველოს ბევრი რეგიონი წარმოადგენს ჩიყვის ენდემურ კერას და იოდდეფიციტის ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარების მიუხედავად ჩიყვი კვლავ რჩება საქართველოს მოსახლეობის სერიოზულ პრობლემად და გავრცელებულ დაავადებად. ეს შესაძლოა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, რომლებიც გავლენას ახდენენ დაავადების განვითარებაზე. ძირითადად კი არაბალანსირებული დიეტა, რომელიც განაპირობებს ფარისებური ჯირკვლის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროტეინების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტს [128].

1.3 სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტრადიციული სამკურნალო სტომატოლოგიური მომსახურება მნიშვნელოვან ეკონომიკური დატვირთვას წარმოადგენს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე განვითარებად ქვეყნებში პირის ღრუს ჯანმრთელობის საზოგადოებრივი პროგრამები იშვიათია. სტომატოლოგიური მომსახურების მაღალი ხარჯები შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ეფექტური პრევენციით, კარგად დაგეგმილი პროფილაქტიკა კი დაავადებათა შემცირების მნიშვნელოვანი საფეხურია.

სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის უპირატესობა და ღირსება მკურნალობასთან შედარებით მისი დაბალი ღირებულებაა, გარდა ამისა, ის ამცირებს ავადობის ინციდენტობას და გვამღევს სტომატოლოგიურ დაავადებათა მართვის შესაძლებლობას.

პროფილაქტიკა წარმოადგენს სახელმწიფო, სოციალური, ჰიგიენური სამედიცინო და პირადი ღონისძიებების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლებასა და დაავადებათა თავიდან აცილებას [26].

განასხვავებენ პირველად(სოციალურ),მეორად (სოციალურ-სამედიცინო), და მესამე რიგის (სამედიცინო) პროფილაქტიკას[130].

პირველადი პროფილაქტიკის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და მიმართულია დაავადებების თავიდან აცილების, მათი წარმოქმნისა და განვითარების მიზეზების და პირობების აღმოფხვრისაკენ, ასევე გარემოს არახელსაყრელი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ფაქტორების მიმართ ორგანიზმის მდგრადობის ამაღლებისაკენ, მოიცავს კბილის მაგარი ქსოვილების სტრუქტურული ანომალიების მიზანმიმართულ ანტენატალურ ღონისძიებებს. მაგ. კარიესის რისკის შემცირებისათვის შაქრის შემცირებული მოხმარება, ფტორის პრეპარატების სწორი მიღება, პირის ღრუს ეფექტური ჰიგიენა, პროფილაქტიკის ინდივიდუალური

სქემების შექმნა, ფისურების ჰერმეტიზაცია, მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური აღზრდა და სწავლება.

მეორადი პროფილაქტიკა გულისხმობს დაავადებათა ადრეულ ეტაპზე ან სტადიაზე გამოვლინებას და პათოლოგიური პროცესის პროგრესირებისა და შესაძლო გართულებების თავიდან აცილებას. მაგ. კარიესისა და პაროდონტის დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა დაავადებების პროგრესირების თავიდან ასაცილებლად.

მესამეული პროფილაქტიკის მიზანია უკვე არსებული დაავადების უარყოფითი ეფექტების და გართულებების შემცირება, ფუნქციის აღდგენა, პროცესის სტაბილიზირებულ მდგომარეობაში შენარჩუნება და მოიცავს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს (თერაპიული, ორთოპედიული, ქირურგიული, ორთოდონტიული).

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დაგეგმვა შესაძლებელია სახელმწიფოებრივ, ჯგუფურ ან ინდივიდუალურ დონეზე.

სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკური ღონისძიებები აუცილებელია დაიწყოს მუცლადყოფნის პერიოდიდანვე და და გაგრძელდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რადგან სწორედ მუცლადყოფნის პერიოდში იწყება კბილების ჩასახვა და განვითარება, რაც მნიშვნელოვანად განსაზღვრავს მათ შემდგომ მდგომარეობას. კბილის მაგარი ქსოვილების სტრუქტურული სრულფასოვნება და მინერალიზაციის ხარისხი კი განსაზღვრავს კარიესრეზისტენტობას, ამიტომაც სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს დედის ჯანმრთელობაზე ზრუნვა წარმოადგენს (ბალანსირებული კვება, ზოგადი დაავადებების პროფილაქტიკა და მათი ადრეულ ეტაპზე მკურნალობა).

კარიესის და პაროდონტის დაავადებების მიმართ ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიებები დაფუძნებულია დაავადებათა გამომწვევ მიზეზებზე. გამოყოფენ 4 ძირითად პროფილაქტიკურ სტრატეგიას კარიესის თავიდან ასაცილებლად:

კვება - ბალანსირებული დიეტა რაფინირებული ნახშირწყლების ნაკლები შემცველობით ამცირებს კარიესის განვითარების რისკს. ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სახამებლის შემცველი საკვების და ახალი ხილის მოხმარება კარიესის დაბალ ინტენსივობასთან ასოცირდება. როდესაც შაქრის მოხმარება შეადგენს <15-20კგ წელიწადში კარიესის დონე ნაკლებია. რეკომენდირებულია რომ თავისუფალი შაქრების შემცველობის საკვები უნდა შეიძღუდოს მაქსიმუმ 4-ჯერ დღეში [130], ამასთან ყურადღება ექცევა ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლების პირის ღრუში დაყოვნების ხანგრძლივობას. ამიტომ კარიესის პროფილაქტიკისათვის მნიშვნელოვანია კვების სწორი რეჟიმი, საჭიროა კვებათა შორის შუალედში ტკბილეულის მიღების გამორიცხვა, მიღების რეჟიმის დარღვევისას კი აუცილებელია კბილების გაწმენდა ან პირის ღრუს გამოვლება. ბალანსირებულ დიეტაზე საუბრისას ასევე აუცილებელია საკვები ნივთიერებების ერთმანეთთან შეხამება და მათი მიღების თანმიმდევრობის დაცვა. ნახშირწყლები მაღალი კალორიულობის გამო აჯერებს ორგანიზმს და ხელს უშლის ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების შეთვისებას, ცხიმში ხსნადი ვიტამინები ორგანიზმის მიერ ცხიმთან ერთად უფრო მეტად შეითვისება, ვიდრე ცხიმების გარეშე, ცხიმების ჭარბი მიღება თრგუნავს კალციუმის შეთვისებას, ხოლო ცილების მიღება ააქტიურებსამ პროცესს, გარდა ამისა, კბილების განვითარების პერიოდში ცილების დეფიციტი განაპირობებს მათი მასისა და ზომის შემცირებას, მინანქრის სტრუქტურის დარღვევას, ამიტომ საყურადღებოა მათი მიღება მუცლადყოფნის პერიოდში, განსაკუთრებით შეუცვლელი ამინომჟავებისა (არგინინი, ლიზინი, გლიცინი, თიროზინი), რომლებსაც ყველა ცხოველური ცილა შეიცავს და რომელთა ცვლა მკვეთრად ირღვევა კარიესის დროს [131].

პირის ღრუს ჰიგიენა- კბილების რეგულარული ხეხვა, კბილებზე ნადებების მოცილება, განსაკუთრებით ინტერდენტალურ არეებში, უზრუნველყოფს ჯანმრთელი კბილების შენარჩუნებას.

ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა- სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტი უზრუნველყოფს კარიესის ადრეულ სტადიებზე დიაგნოსტიკასა და დროულ მკურნალობას

ფტორიდების მოხმარება- ფტორი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მონაწილეობს რემინერალიზაციის პროცესში. როდესაც ფტორის კონცენტრაცია პირის

დრუს სითხეში საკმარისია, რემინერალიზაციის პროცესი სტიმულირდება, ხოლო დემინერალიზაციის პროცესი ფერხდება[132]. ფტორის ადგილობრივი მიწოდება ორგანიზმისთვის ხორციელდება ფტორირებული პასტების, სავლებების, ლაქებისა და გელების სახით.

ყოველივე ზემოთაღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ინდივიდუალურ დონეზე, თუმცა ასეთი ღონისძიებების გატარებისას მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების, დენტალური და ჰიგიენური სტატუსის გათვალისწინება. ასე მაგალითად, ადამიანები არსებობენ ნადების დაგროვების დაბალი, საშუალო და მაღალი ტემპით. ის ფაქტი, რომ მსგავს პირობებში მცხოვრებ პირების ნაწილს აღენიშნება მრავლობითი კარიესი, ნაწილს კი არა, ამტკიცებს კარიესის მიმართ რეზისტენტული და მგრძობიარე ადამიანთა არსებობას [133]. რეგულარული კონტროლი კბილის ნადების და კარიესული პროცესის განვითარებაზე მისდამი განწყობის მქონე პირებში აუცილებელი ფაქტორია კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა თავიდან აცილებისათვის.

სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის რეგიონალური პროგრამების შემუშავების დროს აუცილებელია მოსახლეობის ავადობის საწყისი მონაცემების ცოდნა, რასაც ეპიდემიოლოგიური კვლევები უზრუნველყოფს.

რეგიონალური პროგრამების განხორციელების მნიშვნელოვან ეტაპს სისტემური გზით ფტორის მიწოდება წარმოადგენს. იგი ხორციელდება სასმელი წყლის, რძის, სუფრის მარილის ფტორირების, ფტორის ტაბლეტების და წვეთების მიწოდების გზით [134]. ამ ელემენტს კარისაწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს და მისი ოპტიმალური კონცენტრაცია სასმელ წყალში 0,7-1,2 მგ-ს შეადგენს. ასეთი კონცენტრაციის არარსებობის დროს მიმართავენ ორგანიზმში ფტორის ენდოგენურ შეყვანას სასმელი წყლის ფტორირებით და ასევე ფტორირებული მარილის, რძის გამოყენებით. სისტემური მეთოდის განხორციელებისას აუცილებელია მკაფიო ჩვენებების არსებობა, კერძოდ :

- მოსახლეობის კარიესით მაღალი ავადობა
- სასმელ წყალში ფტორიდების დაბალი შემცველობა
- ფტორიდების სისტემური შეყვანის დამატებითი წყაროების არარსებობა [127].

ფტორიდების ენდოგენური შეყვანის დროს აუცილებელია რეგულარული კონტროლი

და უსაფრთხოების დაცვა ფტორიდების რაოდენობაზე, რათა დოზა ეფექტური იყოს კარიესის პროფილაქტიკისათვის და უსაფრთხო ორგანიზმისათვის.

ოპტიმალური რაოდენობით ორგანიზმში ფტორის მიწოდება მნიშვნელოვნად ამცირებს კარიესით ავადობის რისკს, თუმცა ბევრი ქვეყანაში არ შეინიშნება ფტორიდების ადექვატური მოხმარება, მათი მოსახლეობისთვის მიწოდების ღონისძიებების შემუშავების და დანერგვის უზრუნველყოფა ხელისუფლების პრეროგატივაა[130].

თავი 2. გამოკვლევის მასალა და მეთოდები

2.1 შესავალი

ადამიანური განვითარების ინდექსით (Human Development Index -HDI) 0,745 [135] საქართველოს მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,5 მილიონს (2012 წლის მონაცემებით- 4.497.600 ადამიანი, 52.3%- ქალი, 47.7%-მამაკაცი) რომლის 53% ცხოვრობს ურბანულ არეებში [136].

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების გამო XX საუკუნის 90-იან წლებში მოსახლეობის ზოგადი და პირის ღრუს ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად შეიცვალა. 90-იან წლებამდე ჯანმრთელობის სერვისი უფასო იყო და არსებობდა პრევენციული პროგრამები სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში რომელიც მოიცავდა პროფილაქტიკურ შემოწმებებს და საჭიროების შემთხვევაში უფასო სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ გაუქმდა სახელმწიფო პროგრამები და დაფინანსება, ყველა სახის

სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება თანდათან გახდა კერძო და ფასიანი. ფინანსური ხელმოკლეობა აიძულებდა ადამიანებს სამედიცინო დახმარება მიეღოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (ტკივილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების შემთხვევაში) რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა და პაციენტთა მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომელიც აღწერდა სტომატოლოგიური დაავადებების გავრცელებას საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. 1998 წელს ჩატარებულმა კვლევამ ბავშვთა პოპულაციაში გამოავლინა კარიესის მაღალი გავრცელება (90%) საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 15 წლის ბავშვებში, ხოლო კბა მაჩვენებელი 4,75-ით განისაზღვრა. კვლევამ ასევე გამოავლინა პაროდონტის დაავადებების მაღალი გავრცელება- 92% ბიჭებში, 89,8%-გოგონებში[137]. 2014 წელს ჩატარდა კვლევა 6,12,15 წლის ბავშვებში, რომელმაც გამოავლინა კარიესის მაღალი გავრცელება საქართველოს ბავშვთა პოპულაციაში(85.2%, 68.9% და 82,3% შესაბამისად) ხოლო კარიესის ინტენსივობა აღმოჩნდა 6 წლის ასაკობრივ ჯგუფში 4.57 ± 3.42 , 12 წლის ბავშვებში 2.04 ± 2.02) ხოლო 15 წლის ასაკის პოპულაციაში 3.51 ± 3.14) [138].

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ ბოლო წლებში საქართველოს მოსახლეობაში შედარებით გაიზარდა სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა, იმატა სამედიცინო განათლების და კულტურის ხარისხმა, შესაბამისად გაიზარდა სტომატოლოგიური აქტივობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პირის ღრუს დაავადებათა გავრცელების საფრთხე და ტენდენცია, თუმცა მულტიფაქტორული სტომატოლოგიური დაავადებები კვლავ მწვავე და აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოშიც. სავარაუდოდ არადაამაკმაყოფილებელი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განსაზღვრავს საქართველოს მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურების ნაკლებ ხელმისაწვდომობას ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ჯანმრთელობის სერვისის უმთავრესად ფინანსდება კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და თვითონ მოსახლეობის მიერ. ჯანმოს 2010 წლის მონაცემებით 350 000 ადამიანია ჩართული კერძო კორპორაციულ სადაზღვევო სქემებში. სახელმწიფო ვერ აფინანსებს

სამედიცინო მომსახურების ყველა სახეს, სტომატოლოგიური მომსახურება უმთავრესად ფინანსდება კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ და ვრცელდება ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში ან კერძო კომპანიებში დასაქმებულ პირებზე ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას თვითონ უწევს სტომატოლოგიური მომსახურების გადახდა ან ვერ ხელეწიფება არასათანადო მატერიალური მდგომარეობის გამო. სოციალური პირობები ამცირებს ადამიანთა ვიზიტის სიხშირეს სტომატოლოგთან, პირის ღრუს სანაციის ალბათობას, რაც აუარესებს პირის ღრუს ჰიგიენას და ხელს უწყობს კარიესისა და პაროდონტის დაავადებების განვითარებას. ამას ემატება სხვა რისკ ფაქტორებიც: კლიმატო-გეოგრაფიული, მემკვიდრული წინასწარგანწყობა და ქსოვილების სტრუქტურული არასრულფასოვნება, ორგანიზმის ზოგადი დაავადებები და მდგომარეობები და შედეგად ორგანიზმის იმუნური სისტემის დაქვეითება, ასევე ქცევითი ფაქტორები, რომელთა მნიშვნელოვანი როლი პირის ღრუს დაავადებათა განვითარებაში აღწერილია მრავალრიცხოვან ეპიდემიოლოგიურ კვლევებში-ადამიანთა სამედიცინო განათლების დონე, სტომატოლოგიური მომსახურების საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობიერება ზოგადი ჯანმრთელობისათვის, კვების ხასიათი და რეჟიმი, არაჯანსაღი ცხოვრების სტილი(თამბაქოს, ნარკოტიკის, სასმელის მოხმარება), პაციენტთა დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენურ ჩვევებთან-ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარებასა და გავრცელებაზე.

საქართველო გამოირჩევა კლიმატო -გეოგრაფიული მრავალფეროვნებით. ქვეყნის ტერიტორიის შედარებითი სიმცირის მიუხედავად აქ წარმოდგენილია ჰავის ყველა ტიპი. რელიეფის თავისებურება და მრავალფეროვნება განსაზღვრავს კლიმატის სხვადასხვაობას. ძირითადად საქართველოს ტერიტორია ამ მხრივ შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ნაწილად 1) კავკასიის მთები (ზღვის დონიდან 2000 მ და მეტი)-ზომიერი ჰავა. 2) კოლხეთის დაბლობი გარემომცველი მთებით -ნოტიო სუბტროპიკული ჰავა 3) აღმოსავლეთი საქართველო -მშრალი კონტინენტური ჰავა. ცნობილია რომ რელიეფისა და კლიმატის მრავალფეროვნება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა გეოგრაფიულ კომპონენტებზე (ნიადაგი, ფლორა და ფაუნა) [139], ამ მხრივ განსაზღვრავს ბიოელემენტების შემცველობას საკვებსა და წყალში და

გავლენას ახდენს ადამიანის ზოგად ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, კლიმატო-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს ზოგადი დაავადებების გავრცელებისა და განვითარების თავისებურებებს და ამ მხრივ გავლენას ახდენს პირის ღრუს ჯანმრთელობაზე.

სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და ეტიოლოგიის შესწავლისას მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ეკოლოგიური ფაქტორები, რამდენადაც თანამედროვე მრეწველობის ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. ეკო-პათოგენური ფაქტორები მოიცავს ქიმიურ აგენტებს, მძიმე მეტალებს, მზის და მაიონიზებელ გამოსხივებას, რეგიონის გეოფიზიკურ და გეოქიმიურ თავისებურებებს[140]. ეკო-პათოლოგიური რისკი საქართველოს მოსახლეობაში მნიშვნელოვნად მაღალია. ამას ემატება „ დაბალი ეკონომიკური სტატუსის შედეგად პირის ღრუს ჰიგიენის გაუარესება, სტრესი, მძიმე მეტალებით და გამონაბოლქვით გარემოს დაბინძურება, მატულობს ტყვიისა და მძიმე მეტალების შემცველობა ნერწყვსა და ადამიანის ორგანიზმის სხვა ბიოლოგიურ სითხეებში, რაც იწვევს ნერწყვის რაოდენობრივ და თვისობრივ ცვლილებებს, პათოგენური და პირობით პათოგენური მიკრობების გააქტიურებას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს პირის ღრუში პათოლოგიური ცვლილებების განვითარებისათვის“[140].

მაღალი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების არსებობა და მათი უგულვებელყოფა მრავალ მედიკო-სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას შეუქმნის საქართველოს მოსახლეობას, რადგანაც სტომატოლოგიურ დაავადებათა გართულებები ნეგატიურ გავლენას ახდენენ მთლიანად ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ ამ მაჩვენებლების გამოვლენა, შესწავლა-შეფასება აქტუალური საკითხია, მით უმეტეს რომ საქართველოში ბოლო 22 წლის მანძილზე არ არსებობს ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური მონაცემები, რაც საშუალებას მოგვცემს აღირიცხოთ ამ დაავადებათა გავრცელება, სიხშირე და ინტენსივობა, გამოვლინდეს ხელშემწყობი თუ მაპროვიცირებელი ფაქტორები (მედიკო-ბიოლოგიური, კლიმატო-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.), ხოლო მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე მოხდეს სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების გატარება,

რასაც პრაქტიკული ღირებულება აქვს დაავადებათა გავრცელების შემცირების თვალსაზრისით.

2.2 საკვლევი პოპულაციის შერჩევა და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის და პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება, კარიესის გავრცელების და ინტენსივობის(კბა,კბა_ზ,კ,ბ,ა) მაჩვენებლების განსაზღვრა სქესის მიხედვით გამოყოფილ, ასაკობრივ ჯგუფებში და რეგიონებში[141], ასევე პაროდონტის დაავადებების გავრცელების შესწავლა ასაკის, სქესის, რეგიონული განაწილების მიხედვით, სტომატოლოგიურ დაავადებათა კორელაციის განსაზღვრა სხვადასხვა კლიმატო-გეოგრაფიულ, სანიტარულ-ჰიგიენურ, მედიკო-ბიოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ქცევით და სხვა ფაქტორებთან. გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინებით სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის თანამედროვე პრინციპების და მიმართულებების ჩამოყალიბება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC)თანხმად, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება 20-85+ წლის ასაკის ადამიანებით განისაზღვრება. მთელი პოპულაცია იქნა განაწილებული 4 ასაკობრივ ჯგუფად: 20-34წწ, 35-44წწ, 45-64წწ, 65-74წწ, ხოლო სქესის მიხედვით ორ ჯგუფად- ქალები და მამაკაცები. ორი ასაკობრივი ჯგუფი(35-44წწ და 65-74წწ) შევარჩიეთ ჯანმო-ს რეკომენდაციების

საფუძველზე, როგორც ინდექსური ჯგუფები კბილებისა და პაროდონტის მდგომარეობის შეფასებისათვის, ხოლო კიდევ ორი ასაკობრივი ჯგუფი წარმოადგენდა კვლევისათვის საინტერესო ჯგუფებს მათი მნიშვნელოვანი პროცენტული წილის გამო საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში: (33.6%(20-34წწ) და 36%(45-64წწ), მაშინ როდესაც 35-44 წლის ადამიანთა წილი 19,5%-ს შეადგენს ხოლო 65-74წწ. ადამიანთა წილი 10,9% -ით განისაზღვრება) [142].

გამოკვლევულ იქნა ქვეყნის 9 რეგიონის და დედაქალაქის მოსახლეობა, ქალები და მამაკაცები, ქალაქის და სოფლის მაცხოვრებლები.

სოციალურ-ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება ზრდასრულ მოსახლეობაში დაკავშირებულია ორგანიზაციულ და ფინანსურ სირთულეებთან. საკვლევი პოპულაციის შერჩევა კი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს ასეთი კვლევებისათვის. ჩვენი კვლევა განხორციელდა ჯანმო-ს მიერ მოწოდებული შერჩევის მეთოდით pathfinder survey [143]. ეს არის ალბათური ტიპის სტრატეგიცირებულ-კლასტერული შერჩევის ტექნიკა, რომელიც შეიძლება იყოს პილოტური ან მასობრივი. ჩვენი კვლევა განხორციელდა მასობრივ ეროვნულ დონეზე, რათა მოგვეცვა პოპულაციის ყველა მნიშვნელოვანი სუბჯგუფები პირის ღრუს ჯანმრთელობის პროგრამების დანერგვისა და მონიტორინგისათვის სანდო მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

შერჩევა განხორციელდა მულტიკლასტერულ დონეზე. კლასტერული შერჩევის სახის- ტერიტორიული შერჩევის ფარგლებში კლასტერები გეოგრაფიული ერთეულებისაგან შედგება. პირველი საფეხურის კლასტერები შედგებოდა 10 გეოგრაფიული ერთეულისაგან: 9 რეგიონი(ჩრდილო -დასავლეთი, სამხრეთი, ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი) და თბილისი. კლასტერებს შიგნით მოხდა სტრატეგიცირება ჰომოგენური ჯგუფების-სტრატების შექმნა იმ ცვლადებზე დაყრდნობით რომელიც კვლევის ფარგლებში გვინტერესებდა:WHO-ს მიერ მოწოდებული ასაკობრივი ინდექსური და კვლევისთვის საინტერესო ასაკობრივი ჯგუფების და ასევე სქესის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების გათვალისწინებით. ამგვარად, მთელი ქვეყანა დაიყო 6 სტრატად, რომელიც მოიცავდა 10 გეოგრაფიულ ერთეულს. ზრდასრული

ადამიანების შერჩევა ხშირად რთულია და შესაძლებელია ორგანიზებული ჯგუფებიდან და დაწესებულებებიდან (ოფისები, ქარხნის მუშები)[143]. ამიტომაც, მეორე დონის კლასტერული შერჩევა განხორციელდა ორგანიზაციების, დაწესებულებების, და შინამეურნეობების რანდომული არჩევით. შერჩეული ორგანიზაციები იყო სხვადასხვა და ადამიანები მათში განსხვავდებოდნენ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, განათლების დონით, პირის ღრუს დაავადებებით და მკურნალობის საჭიროებით. გამოკვლეული იქნა ქიმიური ქარხნის, ქვანახშირის მადარობის, ავტოსახელოსნოს, სამკერვალო ფაბრიკის, ზღვის პორტის, ტკბილეული წარმოების, სკოლების (მასწავლებლები და სხვა პერსონალი), უნივერსიტეტების (სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები), სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები(ექიმები, ასისტენტები, ექთნები), მაგრამ არა სტომატოლოგიური კლინიკის პაციენტები რათა თავიდან აგვეცილებინა შერჩევის აშკარა შეცდომები(bias). რანდომულად შერჩეული ოჯახების წარმომადგენლებს გააჩნდათ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და განათლების დონე, იყვნენ დასაქმებულნი ან დაუსაქმებელი ადამიანები .

რეპრეზენტატულობისთვის 10 -15 შესარჩევი ადგილი არის საკმარისი. ჩვენს შემთხვევაში ეს იყო 9 რეგიონი და დედაქალაქი. კლასტერებს შიგნით მოხდა სტრატეგიული ცვლილება: ჰომოგენური ჯგუფების-სტრატების შექმნა იმ ცვლადებზე დაყრდნობით, რომელიც კვლევის ფარგლებში გვინტერესებდა: WHO-ს მიერ მოწოდებული ასაკობრივი ინდექსური და კვლევისთვის საინტერესო ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და ადმინისტრაციული ერთეულების (რეგიონების) გათვალისწინებით.

WHO-ს რეკომენდაციით[143] თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში სუბიექტების რაოდენობა განისაზღვრება 25-50 ადამიანით კარიესის სიმწვავეზე დამოკიდებულებით, მაგრამ რადგან წინასწარი პილოტური კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კარიესის გავრცელების ინდექსი მაღალია, თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის შერჩევის სტანდარტული ზომა ავიღეთ 40 -50 WHO-ს რეკომენდაციის საფუძველზე: 4 ასაკობრივ ჯგუფში მივიღეთ 160-200 ადამიანი თითოეული კლასტერისათვის. კლასტერებს შიგნით სტრატების მოცულობა განისაზღვრა მათში შემავალი ელემენტების პროცენტული მაჩვენებლების

გათვალისწინებით. რაც უფრო დიდია სტრატეგია, მით მეტ ზეგავლენას ახდენს ის გენერალური ერთობლიობის პარამეტრთა საშუალო მნიშვნელობების ფორმირებაზე, შესაბამისად იგი მეტი მოცულობით უნდა იყოს წარმოდგენილი შერჩევით ერთობლიობაში[144].

საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით[136], ჩვენთვის საინტერესო სტრატეგიის ელემენტები არაპროპორციულად არის წარმოდგენილი გენერალურ ერთობლიობაში, სწორედ მათი პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით, მათი რაოდენობის პროპორციულობის საფუძველზე შეირჩა ელემენტების მოცულობა(რაოდენობა) თითოეული სტრატეგიისათვის. 52 შეჩვევის ადგილი (6 თბილისში და 46 რეგიონებში) მოიცავდა 12 ქალაქს და 18 სოფელს. შერჩევის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 2370 ადამიანით.

კვლევა განხორციელდა გამოცდილი პრაქტიკოსი ექიმი- სტომატოლოგის მიერ 4 ასისტენტის თანხლებით, რომლებიც აგროვებდნენ ინფორმაციას რისკ-ფაქტორების შესახებ კვლევაზე მორგებული სოციოლოგიური კითხვარების განაწილებით კვლევის ყველა მონაწილეს შორის. ორგანიზაციების ადმინისტრაცია წინასწარ იქნა ინფორმირებული კვლევის მიზნების, ამოცანებისა და მიმდინარეობის შესახებ. ისინი დაგვებმარნენ ადამიანთა მიმართვიანობისა და კვლევის პროცესში მათი მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფაში.

ჩვენს მიერ შედგენილი სოციოლოგიური კითხვარები მოიცავდა კითხვებს რისკ-ფაქტორების დასადგენად: სოციალური სტატუსი და ოჯახის მატერიალური შემოსავალი, ზოგადი დაავადებების არსებობა, ადამიანთა დამოკიდებულება პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევების მიმართ (კბილების გამოხეხვა, დენტალური ძაფისა და პირის ღრუს სავლებების გამოყენება), ადვილად ფერმენტირებადი შაქრის მოხმარების სიხშირე, სტომატოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის სტომატოლოგიური აქტივობა, თამბაქოს მოწევა, ხორცის, რძის და სხვა პროდუქტების მოხმარება.

გამოსაკვლევი პოპულაციის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასება მოხდა ჯანმო-ს რეკომენდაციის საფუძველზე (WHO - 'Oral Health Assessment Form 2013'). პირის ღრუს გამოკვლევა წარმოებდა ბუნებრივი განათების პირობებში

სტომატოლოგიური სარკის, დენტალური ზონდისა და პაროდონტალური ზონდის (CPI) გამოყენებით (პაროდონტალური ჯიბეების გასაზომად).

კარიესის დიაგნოსტიკა და აღრიცხვა ვაწარმოეთ ჯანმო-ს მიერ შემუშავებული მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებით, ხოლო პაროდონტის ქსოვილების გამოკვლევა მოიცავდა შემდეგი პარამეტრების შეფასებას :

1. ნადების ინდექსი- ხილული ნადების არსებობა ან არარსებობა კბილის ნებისმიერ ზედაპირზე
2. ქვის ინდექსი- ხილული კალკულოზური ნადების არსებობა ან არარსებობა თითოეული კბილის გარშემო.
3. პაროდონტალური ჯიბეების სიღრმე- მანძილი თავისუფალი ღრძილის კიდიდან კბილ-ღრძილოვანი ღარის ფუძემდე (გაზომილი მმ-ში).
4. ზონდირებისას სისხლდენა-სისხლდენის არსებობა ან არარსებობა კბილის გარშემო ღრძილის ზონდირებისას [145].

პაროდონტალური გაზომვები განხორციელდა რამფორდის ინდექსური კბილებისათვის 16, 21, 24, 36, 41, 44 მოიცავდა რა სხვადასხვა კბილთა ჯგუფს [145].

პირის ღრუს ჰიგიენური სტატუსის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა პირის ღრუს ჰიგიენური გამარტივებული ინდექსი (Oral Hygiene Index-Simplified(OHI-S)), ნადების გამარტივებული ინდექსი(Debris Index-Simplified(DI-S)), ქვის გამარტივებული ინდექსი (Calculus Index Simplified (CI-S)). ინდექსების შეფასებისათვის 6 (4 სადექი და 2 ფრონტალური) კბილის ზედაპირები იქნა გამოკვლეული 16(17),11,26(27),36(37),31,46(47) [146].

გამოყენებული სტატისტიკური აპარატი :

მონაცემები დამუშავდა SPSS.21-ში. გამოყენებულ იქნა შემდეგი სტატისტიკური ოპერაციები და კრიტერიუმები:

- ჯგუფების აღსაწერად: ცენტრალური ტენდენციის (საშუალო არითმეტიკული) და ცვალებადობის (სტანდარტული გადახრა) საზომები,

განაწილების ნორმალურობისა (კოლმოგოროვ-სმირნოვის) და დისპერსიების ჰომოგენურობის (ლევენის) ტესტები.

- არაპარამეტრული ტესტებიდან გამოვიყენეთ კრუსკალ-უოლესის ტესტი, კროსტაბულაცია და ხი-კვადრატ კრიტერიუმი სამიზნე ცვლადების მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების შესადარებლად და კორელაციური კავშირების დასადგენად კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა გავრცელებასა და რისკ-ფაქტორებს შორის: ასაკი, სქესი, სოციალური და ფინანსური სტატუსი, ადამიანთა განათლების დონე, ქცევითი ფაქტორები(პირის ღრუს ჰიგიენა, სტომატოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობა და სტომატოლოგიური აქტივობა, კვების რეჟიმი და ხასიათი (ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლებისა და კვების სხვა პროდუქტების მოხმარება).

თავი 3. საკუთარი გამოკვლევის შედეგები და განსჯა

3.1 გამოკვლეული პოპულაციის ზოგადი დახასიათება

აღნიშნულ თავში წარმოვადგენთ გამოკვლეული პოპულაციის შესახებ მიღებული მონაცემების ანალიზს. ანკეტა-კითხვარში (დანართი1) შემავალი ძირითადი ბლოკები იყო საპასპორტო და დემოგრაფიული მონაცემები, მონაცემები საცხოვრებელი და სამუშაო პირობების, თანმხლები სომატური და სტომატოლოგიური დაავადებების, პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის, თანკბილვის სახეობის, კვების რეჟიმის, საკვების ხასითის, პირის ღრუს ჰიგიენური ჩვევებისა და ადამიანთა სამედიცინო აქტივობის, სიგარეტის მოხმარების შესახებ.


გამოკვლევამ მოიცვა 2370 ადამიანი 1089(46%) მამაკაცი და 1281 (54%)ქალი . გამოკვლეული იყო 4 ასაკობრივი ჯგუფი20-34, 35-44 ,45-54, 55-64. გამოკვლეული

პოპულაციის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 1) და დიაგრამაზე. (დიაგრამა 1)

სქესი	ასაკი				სულ
	20-34	35-44	45-64	65-74	
	აბსოლ რაოდ %	აბსოლ რაოდ %	აბსოლ რაოდ %	აბსოლ რაოდ %	აბსოლ რაოდ %
მამაკაცი	384 35,5%	182 16,8%	376 34,8%	139 12,9%	1081 46%
ქალი	413 32,0%	287 22,3%	478 37,1%	111 8,6%	1289 54%
სულ	797 33,6%	469 19,8%	854 36,0%	250 10,5%	2370 100%

$\chi^2 = 21,794$, $p = 0,00$ $p < 0,01$

ცხრილი 1 . გამოკვლეული პოპულაციის დახასიათება ასაკისა და სქესის მიხედვით



დიაგრამა 1 . გამოკვლეული პოპულაციის დახასიათება ასაკისა და სქესის მიხედვით

გამოკვლეული იქნა 9 რეგიონი და თბილისი მათში პოპულაციის განაწილების პროპორციულობის გათვალისწინებით: (ცხრილი 2)

რეგიონები	სიხშირე	%
თბილისი	385	16.2
მცხეთა	161	6.8
გურია	170	7.2
სამცხე-ჯავახეთი	191	8.1
შიდა ქართლი	210	8.9
აჭარა	230	9.7
კახეთი	230	9.7
სამეგრელო	252	10.6
ქვემო ქართლი	250	10.5
იმერეთი	291	12.3
სულ	2370	100.0

ცხრილი 2: საკვლევი პოპულაციის განაწილება რეგიონების მიხედვით

საქართველოს მოსახლეობა ქართველების გარდა სხვა ეროვნებებსა და ეთნიკურ უმცირესობებსაც მოიცავს. კვლევისათვის საინტერესო იყო მათი გამოკვლევაც. რანდომულად შერჩეული პოპულაცია მოიცავდა საქართველოში მცხოვრებ თითქმის ყველა ეროვნებას და ეთნიკურ უმცირესობას: (ცხრილი3)

ეროვნება	სიხშირე	%
ქართველი	2194	92.5
რუსი	24	1.0
სომეხი	43	1.8
ბერძენი	5	.2
აზერბაიჯანელი	89	3.8
სხვა	13	.5
სულ	2370	100.0

ცხრილი 3: საკვლევი პოპულაციის განაწილება ეროვნების მიხედვით

განათლების მიხედვით მოხდა ადამიანთა კატეგორიზება-საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ადამიანები. მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკვლეული პოპულაციის უმეტესი ნაწილი- 1561 (65,9%) წარმოდგენილი იყო უმაღლესი განათლებით, 601 (25,4%) სრული და არასრული საშუალო, ხოლო 208(8,8%) პროფესიული განათლებით.

ოჯახის მატერიალური შემოსავლის კატეგორიზაცია მოხდა დაბალი საშუალო და მაღალი შემოსავლის მიხედვით ადამიანთა მიერ საკუთარი შემოსავლის თვითშეფასების მიხედვით. დროებით უმუშევრები ან ადამიანები, რომლებიც შემოსავლის წყაროდ პენსიას, სოციალურ დახმარებას ან 500 ლარამდე ხელფასს ასახელებდნენ, განიხილავდნენ თავიანთ შემოსავალს როგორც დაბალს, სხავდასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში მომუშავე პირები ყოველთვიური ანაზღაურებით -500- 600 ლარი (საშუალო შემოსავალი საქართველოში (597,6ლარი)[135] თავიანთ ხელფასს თვლიდნენ საშუალოდ, მაღალი შემოსავლების ადამიანები მიუთითებდნენ ხელფასთან ერთად შემოსავლის სხვა წყაროების არსებობას (მაგ: მცირე ბიზნესი).

დაბალი მატერიალური შემოსავალი კონსტატირებულ იქნა 699 (29,5%) ადამიანის, საშუალო - 1642(69,3%) კვლევის მონაწილის მიერ, ხოლო ოჯახის მაღალი შემოსავალი მხოლოდ 29(1,2%) ადამიანის მიერ. კითხვარებში ასევე მითითებული იყო კითხვა ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად კატეგორიზდა: ცუდი, საშუალო და კარგი. ცუდი საცხოვრებელი პირობები მიუთითა 207(8,7%) ადამიანმა, საშუალო პირობებში ცხოვრობდა 1860 (78,5%), ხოლო კარგი საყოფაცხოვრებო პირობების მქონე მხოლოდ 300(12,7%) აღმოჩნდა.

ანკეტა-კითხვარების შემდეგი ბლოკი შეეხებოდა ადამიანთა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას და ზოგადი სომატური დაავადებების გამოვლინებას. ანამნეზურ მონაცემთა შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 4).

სომატური დაავადებები		აქვს		არა აქვს		არ იცის	
		სიხშირე	%	სიხშირე	%	სიხშირე	%
ენდოკრინული დაავადებები	ჩიყვი	205	8.6%	1952	82.4%	145	6.1%
	დიაბეტი	59	2.5%				
	ჩიყვი და დიაბეტი	9	0.4%				
კუჭნაწლავის დაავადებები		531	22,4%	1657	69,9%	182	7,7%
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები		511	21,6%	1703	71,9%	156	6,6%
შარდ-სასქესო დაავადებები		97	4,1%	2267	95,7%	6	0,2%
ძვალ სახსროვანი დაავადებები		271	11,4%	2094	88,4%	5	0,2%
ნერვული სისტემის დაავადებები		287	12,1%	1953	82,4%	129	5,4%
სხვა ქრონიკული დაავადება		191	8,1%	2179	91,9%	-	-

ცხრილი 4. სომატური დაავადებების განაწილება საკვლევ პოპულაციაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კვების რეჟიმისა და ხასიათის შეფასება, რადგან ის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია როგორც კარიესის, ისე სომატური დაავადებების კუთხით. რესპოდენტის კვების რეჟიმის მიხედვით გამოკვლეულ კონტინგენტში შედარებით მაღალი ხვედრითი წილით იქნა წარმოდგენილი ორჯერადი (33.5%) და სამჯერადი (39.9%) კვება დღის განმავლობაში, არარეგულარულად იკვებებოდა 18,3%, დღეში ერთხელ 2,0%, ხოლო დღეში ოთხჯერ- 6,3%. პურ-პროდუქტების, როგორც ნახშირწყლების მიღების წყაროს 2-3-ჯერ მიღება საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოვლინდა (75%), დღეში 4-ჯერ ან მეტჯერ პურს მიირთმევდა 9,5%, დღეში ერთხელ 13,8%, ხოლო 1,7% საერთოდ გამორიცხავდა პურ-ფუნთუშეულს დღის რაციონიდან. ადვილად ფერმენტირებადი ნახშირწყლების მიღების კიდევ ერთი წყაროს- ტკბილეულის მომხმარებელი დღეში 2-3 ჯერ პოპულაციის 29,7% აღმოჩნდა, ხოლო დღეში 4-ჯერ და მეტჯერ მხოლოდ 5,4%, გამოკვლეული პოპულაციის ნახევარზე მეტი 50,3%- დღეში ერთხელ, ხოლო 14,3% საერთოდ უარყოფდა ტკბილეულის მოხმარებას .

ხორცის მიღების სიხშირე შემდეგნაირად განაწილდა: 49,5% კვირაში 2,4-ჯერ მოიხმარდა ხორცის პროდუქტებს, 43,3% კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად , 2,2% კი საერთოდ გამორიცხავდა ხორცის მიღებას. რაც შეეხება რძის პროდუქტებს, 45,6% აღნიშნავდა მათ კვირაში 2-4ჯერ გამოყენებას, 33,9%- კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად, 14,5% რძის პროდუქტების ყოველდღიური მომხმარებელი აღმოჩნდა, ხოლო 6,0% საერთოდ უარყოფდა მათ მიღებას. გამოკვლეული კონტინგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი(47,6%) ხილ-ბოსტნეულის, როგორც ორგანიზმისათვის აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყაროს და უჯრედისით მდიდარი საკვების კვირაში 2-4-ჯერ მომხმარებელი აღმოჩნდა, ხოლო 38,3%- ყოველდღიური, 13,4% კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იღებდა ხილ-ბოსტნეულს და მხოლოდ 0,8% უარყოფდა მათ მოხმარებას.

ანკეტა- კითხვარების შემდეგი ბლოკი შეეხებოდა კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანების და პაროდონტის დაავადებების რისკ -ფაქტორებიდან ქცევითი ხასიათის ფაქტორების შესწავლას, როგორცაა პირის ღრუს ჰიგიენა, ჰიგიენური ჩვევები და ადამიანთა სამედიცინო აქტივობა. გამოკვლეულ კონტინგენტში პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 5):

პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსი	სიხშირე	%
0-0,6 ბალი (პირის ღრუს კარგი ჰიგიენა)	423	17,8%
0,7-1,6 ბალი (პირის ღრუს დამაკმაყოფილებელი ჰიგიენა)	1594	67,3%
1,7-2,5 (პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა)	178	7,5%
2,6≥(პირის ღრუს ცუდი ჰიგიენა)	175	7,4%
სულ	2370	100%

ცხრილი 5. პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის მახასიათებლები გამოსაკვლევ პოპულაციაში

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოკვლეულ კონტინგენტში მაღალი აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი ჰიგიენის მაჩვენებლის ხვედრითი წილი, ყველაზე დაბალი სიხშირით კი წარმოდგენილია ცუდი ჰიგიენის მაჩვენებელი.

კითხვარების სტატისტიკური ანალიზის შედეგად შეფასდა ადამიანთა

დამოკიდებულება პირის ღრუს მოვლის ჰიგიენური ჩვევებისა და სტომატოლოგიური მომსახურების მიმართ, ასევე სტომატოლოგიური აქტივობა ექიმთან მიმართვის სიხშირისა და ამ მიმართვის მოტივაციის საფუძველზე. პრევალირებდა კბილების გამოხეხვის სიხშირე დღეში ორჯერ, თუმცა გამოკვლეულთა მხოლოდ ნახევარი (50,5%) მიმართავდა მას, დღეში ერთხელ კბილების გამოხეხვის სიხშირე აღინიშნა გამოკვლეულთა 39,8%-ში, ხოლო კონტინგენტის ყველაზე მცირე რაოდენობა (5%) საერთოდ იგნორირებდა კბილების გაწმენდას, ხსნიდა რა ამას კბილების გახეხვის არასაჭიროებით ან კბილების არარსებობით პირის ღრუში.

გამოკვლეულთა საკმაოდ დიდი ნაწილი 93,5% უგულვებელყოფდა კბილის ძაფის, ხოლო 81,8% სავლების გამოყენებას, რაც აიხსნებოდა მათ მიერ ამ ჰიგიენური საშუალებების შესახებ ინფორმაციის სიმწირით ან გამოყენების საჭიროების არქონით.

ადამიანთა სტომატოლოგიური აქტივობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში (ცხრილი 6):

სტომატოლოგიური აქტივობა		სიხშირე	%
სტომატოლოგთან ვიზიტი ბოლო ერთ წელიწადში	არ ვყოფილვარ	1497	63,2
	ერთხელ	434	18,3
	ორჯერ	248	10,5
	სამჯერ	97	4,1
	4 -ჯერ და მეტად	94	4,0
სტომატოლოგთან ვიზიტის მიზეზი	პროფილაქტიკა	100	4,3
	ტკივილი ან დისკომფორტი	2269	95,7
სტომატოლოგთან მიუსვლელობის მიზეზი	არ არის საჭირო თუ არაფერი აწუხებს	1079	45,5
	შიში	236	10,0
	უფულობა	863	36,4
	დაზღვევის არარსებობა	95	4,0
სულ		2370	100

ცხრილი 6 . გამოკვლეული კონტინგენტის სტომატოლოგიური აქტივობა წლის განმავლობაში

როგორც ცხრილიდან ჩანს, წლის მანძილზე სტომატოლოგიური აქტივობა მოსახლეობის მხოლოდ 36,8%-ით განისაზღვრება, პოპულაციის უმეტესი ნაწილი (95,7%) მხოლოდ ტკივილის ან დისკომფორტის შემთხვევაში აკითხავს სტომატოლოგს და მხოლოდ მცირე ნაწილი (4,3%) უთმობს ყურადღებას პირის ღრუს პროფილაქტიკურ შემოწმებას, ხოლო დაბალი სტომატოლოგიური აქტივობის ძირითად მიზეზად ფინანსების არქონასთან (36,4%) ერთად სტომატოლოგთან ვიზიტის არასაჭიროება (უკიდურესი შემთხვევების გარდა) სახელდება, რაც პოპულაციის დაბალ სამედიცინო კულტურაზე მეტყველებს და კბილების კარგვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს .

პოპულაციის ანკეტირებასთან ერთად წარმოებდა სტომატოლოგიური სტატუსის ერთმომენტური შეფასება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა შესწავლილ კონტინგენტში სტომატოლოგიური დაავადებების, კერძოდ , კბილის მაგარი ქსოვილების (კარიესი და არაკარიესული დაავადებები) და პაროდონტის დაავადებათა არსებობა და მათი გავრცელება.

3.2. ზრდასრული მოსახლეობის სტომატოლოგიური სტატუსის დადგენა და სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელება საკვლევ პოპულაციაში

გამოკვლეული პოპულაციის სტომატოლოგიური სტატუსის შეფასება წარმოებდა შემდეგი პარამეტრების საფუძველზე:

- პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა (ქვების და ნადებების არსებობა);

- კარიესი;
- არაკარიესული დაავადებები;
- პაროდონტის დაავადებები;

სტომატოლოგიური სტატუსის დადგენისას პირველ რიგში შეფასდა ადამიანთა პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობა, რომლის მაჩვენებელი განისაზღვრა როგორც საშუალო, ხოლო პირის ღრუს ჰიგიენა -დამაკმაყოფილებელი (ცხრილი 7):


ცვლადი	მაჩვენებელი (საშუალო±სტ.გადახრა)
ნადებისინდექსი	.47±.66
ქვისინდექსი	.33±.52
პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსი	0,8±1,1

ცხრილი 7 . ყველა მონაწილის (2370) საშუალო მაჩვენებლები

გამოკვლევულ კონტინგენტში კბილის მაგარი ქსოვილების არაკარიესულ დაავადებათა შესწავლისას შედარებით მაღალი სიხშირით გამოვლინდა პათოლოგიური ცვეთა. მიღებული შედეგები მოტანილია ცხრილში (ცხრილი 10) და დიაგრამაზე (დიაგრამა 2):

არაკარიესული დაავადებები	სიხშირე	%
არ არის	2177	91.9
ჰოპოპლაზია	19	.8
სოლისებრი დეფექტი	7	.3
პათოლოგიური ცვეთა	165	6.9
ეროზია	2	.1
სულ	2370	100


ცხრილი 10 . არაკარიესულ დაავადებათა გავრცელება საკვლევ პოპულაციაში



დიაგრამა 2. არაკარიესული დაავადებების პროცენტული განაწილება საკვლევ პოპულაციაში

კარიესით ავადობის შესაფასებლად განისაზღვრა როგორც კარიესის გავრცელება ასევე კარიესის ინტენსივობა.

კარიესის გავრცელების მიხედვით გამოიყო ორი ჯგუფი. მათი სიხშირეებისა და პროცენტული გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 3):



დიაგრამა 3: კარიესის გავრცელების მაჩვენებელი.

როგორც აღმოჩნდა კარიესის გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში ძალიან მაღალია.

კარიესის ინტენსივობა განისაზღვრა კბა და კბა_ზ ინდექსების საფუძველზე. კერძოდ, გამოთვლილ იქნა ამ ინდექსების საშუალო მაჩვენებლები, კარიესით დაზიანებული(კ), კარიესის გამო დაკარგული(ა) და დაბჟენილი ან რესტავრირებული კბილების(ბ) საშუალო რაოდენობა. შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხრილი 11,12):

ცვლადი	საშუალო±სტ.გადახრა
კბა	11.53±7.69
კბა-ზ	42.28±38.37
კ	2.78±3.02
ა_კარიესი	4.46±5.95
ბ	1.71±2.51


ცხრილი 11. ყველა მონაწილის (2370) საშუალო მაჩვენებლები სამიზნე ცვლადების მიხედვით

	კბა	კბა-ზ	კ	ა-კარიესი	ა-პაროდონტიტი	ბ	ინტაქტური
რაოდენობა	2370	2370	2370	2370	2370	2370	2370
საშუალო	11.54	42.33	2.78	4.46	2.59	1.71	18.18
მედიანა	10.00	31.00	2.00	2.00	.00	1.00	19.00
სტანდარტული გადახრა	7.692	38.386	3.016	5.953	7.697	2.508	8.267
დისპერსია	59.164	1473.501	9.098	35.435	59.244	6.291	68.346
რანჟი	32	148	17	32	32	24	32
მინიმუმი	0	0	0	0	0	0	0
მაქსიმუმი	32	148	17	32	32	24	32

ცხრილი: 12 სამიზნე ცვლადების აღწერითი სტატისტიკა

როგორც ცხრილი 12-დან ჩანს, გამოკვლეულ პოპულაციაში დაზიანებული კბილების მაქსიმალური რაოდენობა 17-ს შეადგენს, დაზიანებული კბილების- 24-ს, ხოლო დაკარგული და ასევე ჯანმრთელი კბილების მაქსიმალური რაოდენობა 32-ს. კარიესის ინტენსივობა მთელს პოპულაციაში ზომიერია და ძირითადად განისაზღვრება კარიესის გამო დაკარგული კბილების საშუალო მაჩვენებლით (4.46 ± 5.95).


საკვლევი პოპულაციის სტომატოლოგიური სტატუსის შესწავლისას მნიშვნელოვანი იყო ასევე შეგვეფასებინა პაროდონტის მდგომარეობა. ამ ცვლადის მიხედვით გამოიყო ორი ჯგუფი: ჯანსაღი და არაჯანსაღი. მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 4):



დიაგრამა 4. პაროდონტის მდგომარეობა საკვლევი პოპულაციაში

შედეგების ანალიზმა გვიჩვენა პაროდონტის არაჯანსაღი მდგომარეობის პრევალირება ჯანმრთელ პაროდონტზე. არაჯანსაღი მდგომარეობა განისაზღვრა ზონდირებისას სისხლდენის არსებობით, პაროდონტალური ჯიბეების არსებობით, კბილ-ღრძილოვანი მიმაგრების დარღვევით.


სისხლდენის ხარისხი შეფასდა ღრძილების ზონდირებისას სისხლდენის არსებობით. ამ ცვლადის მიხედვით გამოიყო ორი ჯგუფი, რომელთა მაჩვენებლებიც წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 5):



დიაგრამა 5. სისხლდენის მიხედვით ჯგუფების განაწილება.

როგორც აღმოჩნდა ზონდირებისას სისხლდენა აღინიშნა გამოკვლეული პოპულაციის 41%-ში, თუმცა სისხლდენის არარსებობა (მაგალითად ნამკურნალევი პაროდონტიტისა და გინგივიტის შემთხვევაში) არ მიუთითებდა ჯანმრთელ პაროდონტის მდგომარეობას.


პაროდონტალური ჯიბეების მიხედვით გამოიყო ოთხი ჯგუფი. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 6):



დიაგრამა 6. ჯგუფების განაწილება პაროდონტალური ჯიბეების მიხედვით.

როგორც შედეგებმა აჩვენა, საკვლევ პოპულაციაში პრევალირებდა 0-3მმ სიღმის პაროდონტალური ჯიბეები, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი 6მმ და მეტი სიღრმის ჯიბეები. ეს მიუთითებს გამოკვლეულ პოპულაციაში პაროდონტის ქრონიკული ფორმების პრევალირებაზე მწვავე ფორმასთან შედარებით, რადგან პაროდონტის დაავადებათა სიმწვავე განისაზღვრება 4-5 და 6>მმ ჯიბეების პროცენტული მაჩვენებლით [147].

რაც შეეხება კბილ-ღრძილოვან მიმაგრებას, როგორც პაროდონტის დაავადების კიდევ ერთ ნიშანს, ამ ცვლადის მიხედვით მიხედვით გამოიყო ოთხი ჯგუფი. შედეგები წარმოდგენილია დიაგრამაზე (დიაგრამა 7):



დიაგრამა 7: ჯგუფების განაწილება კბილ-ღრძილოვანი მიმაგრების დარღვევის მიხედვით.

კბილ-ღრძილოვანი მიმაგრების შეფასებისას ასევე გამოიკვეთა 0-3მმ სიღრმეზე კბილ-ღრძილოვანი კავშირის დარღვევის პრევალირება, აქაც ყველაზე მცირე რაოდენობით წარმოჩინდა აღნიშნული მიერთების დარღვევა 6-მმზე და მეტ სიღრმეზე.

პაროდონტის დაავადებების გავრცელების შესწავლისას კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო გაგვესაზღვრა საკვლევ პოპულაციაში როგორც ანთებადი დაზიანებების(გინგივიტი, პაროდონტიტი) არსებობა და სიხშირე, ისე პაროდონტის ქსოვილების არაანთებადი დაზიანებაც. პაროდონტის ანთებადი დაზიანება აღინიშნა პოპულაციის 58%-ში, ხოლო არანათებითი დაზიანება- მხოლოდ 4 %- ში.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის პროცესში ასევე საინტერესო იყო გაგვესაზღვრა კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა სიხშირე და გავრცელება არამხოლოდ მთელი პოპულაციის მიხედვით, არამედ ჩვენთვის საინტერესო ჯგუფების, კერძოდ ასაკის, სქესისა და ტერიტორიული განაწილების ფარგლებში და იმ ფაქტორებთან კორელაციური კავშირების დადგენა, რომლებიც სავარაუდოდ განსაზღვრავენ სტომატოლოგიურ დაავადებათა გავრცელებას საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში.

3.3 კარიესის და პაროდონტის დაავადებათა სიხშირე და გავრცელება ასაკისა და სქესის მიხედვით საკვლევ პოპულაციაში.

